




ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის  
2024 წლის ბიუჯეტის შესრულების  
წლიური ანგარიში

ფოთი 2025 წელი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში მომზადებულია მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებიდან, მერიის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირებიდან მოწოდებული ინფორმაციის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის გათვალისწინებით, რომელიც მოიცავს ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმიურ მაჩვენებლებთან, ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს წლის დასაწყისისა და დასასრულისათვის, პროგრამების დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობის განმარტებას (30%-ზე მეტის არსებობის შემთხვევაში). ასევე, ინფორმაციას დასახული პრიორიტეტების ფარგლებში პროგრამების/ქვეპროგრამების მიხედვით განხორციელებული ღონისძიებების აღწერის და მიღწეული შედეგების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბიუჯეტების შესრულების წლიური მაჩვენებლების, სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების შესახებ.

### თავი I. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლების შესრულება

2024 წლის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაზუსტებული საბიუჯეტო შემოსულობების გეგმა შესრულებულია 91,3%-ით. გეგმით გათვალისწინებული იყო 65 357,3 ათ. ლარის მობილიზება. ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 59 683,2 ათ. ლარი. აღნიშნული მაჩვენებელი, წინა 2023 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს აღემატება 3 720,8 ათ. ლარით, ხოლო 2022 წლის მაჩვენებელს 26 960,6 ათ. ლარით.



#### 1. ბიუჯეტის ბალანსი

| დასახელება     | ათას ლარში      |                 |
|----------------|-----------------|-----------------|
|                | 2024 წლის გეგმა | 2024 წლის ფაქტი |
| I. შემოსავლები | 59 305,0        | 54 868,1        |

| დასახელება                                 | 2024 წლის გეგმა  | 2024 წლის ფაქტი  |
|--|------------------|------------------|
| გადასახადები                               | 27 095,0         | 27 389,6         |
| გრანტები                                   | 16 690,0         | 16 594,3         |
| სხვა შემოსავლები                           | 15 520,0         | 10 884,2         |
| <b>II. ხარჯები</b>                         | <b>44 503,3</b>  | <b>41 359,0</b>  |
| შრომის ანაზღაურება                         | 5 010,1          | 4 882,7          |
| საქონელი და მომსახურება                    | 10 694,6         | 9 261,1          |
| პროცენტი                                   | 329,6            | 317,5            |
| სუბსიდიები                                 | 20 443,9         | 20 218,6         |
| გრანტები                                   | 656,6            | 575,8            |
| სოციალური უზრუნველყოფა                     | 2 376,5          | 2 043,3          |
| სხვა ხარჯები                               | 4 992,0          | 4 060,0          |
| <b>III. საოპერაციო სალდო</b>               | <b>14 801,7</b>  | <b>13 509,1</b>  |
| <b>IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება</b> | <b>28 676,2</b>  | <b>24 859,6</b>  |
| ზრდა                                       | 34 728,5         | 29 674,7         |
| კლება                                      | 6 052,3          | 4 815,1          |
| <b>V. მთლიანი სალდო</b>                    | <b>-13 874,5</b> | <b>-11 350,5</b> |
| <b>VI. ფინანსური აქტივების ცვლილება</b>    | <b>-14 450,1</b> | <b>-11 925,9</b> |
| ზრდა                                       | 0,0              | 2 619,2          |
| ვალუტა და დეპოზიტები                       | 0,0              | 2 619,2          |
| კლება                                      | 14 450,1         | 14 545,1         |
| ვალუტა და დეპოზიტები                       | 14 450,1         | 14 545,1         |
| <b>VII. ვალდებულებების ცვლილება</b>        | <b>-575,6</b>    | <b>-575,4</b>    |
| კლება                                      | 575,6            | 575,4            |
| საშინაო                                    | 575,6            | 575,4            |
| <b>VIII. ბალანსი</b>                       | <b>0,0</b>       | <b>0,0</b>       |

## 2. ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

ათას ლარში

| დასახელება                   | 2024 წლის გეგმა | 2024 წლის ფაქტი |
|------------------------------|-----------------|-----------------|
| <b>შემოსულობები</b>          | <b>65 357,3</b> | <b>59 683,2</b> |
| შემოსავლები                  | 59 305,0        | 54 868,1        |
| არაფინანსური აქტივების კლება | 6 052,3         | 4 815,1         |
| <b>გადასახდელები</b>         | <b>79 807,4</b> | <b>71 609,1</b> |

| დასახელება                  | 2024 წლის გეგმა  | 2024 წლის ფაქტი  |
|-----------------------------|------------------|------------------|
| ხარჯები                     | 44 503,3         | 41 359,0         |
| არაფინანსური აქტივების ზრდა | 34 728,5         | 29 674,7         |
| ვალდებულებების კლება        | 575,6            | 575,4            |
| <b>ნაშთის ცვლილება</b>      | <b>-14 450,1</b> | <b>-11 925,9</b> |

### 3. ბიუჯეტის შემოსავლები


ათას ლარში

| დასახელება         | 2024 წლის გეგმა | 2024 წლის ფაქტი | შესრულება %-ში |
|--------------------|-----------------|-----------------|----------------|
| <b>შემოსავლები</b> | <b>59 305,0</b> | <b>54 868,1</b> | <b>92,5</b>    |
| გადასახადები       | 27 095,0        | 27 389,6        | 101,1          |
| გრანტები           | 16 690,0        | 16 594,3        | 99,4           |
| სხვა შემოსავლები   | 15 520,0        | 10 884,2        | 70,1           |

### 4. ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები

ათას ლარში


| დასახელება                                       | 2024 წლის გეგმა | 2024 წლის ფაქტი | შესრულება %-ში |
|--|-----------------|-----------------|----------------|
| <b>გადასახადები</b>                              | <b>27 095,0</b> | <b>27 389,6</b> | <b>101,1</b>   |
| ქონების გადასახადი                               | 16 350,0        | 16 396,7        | 100,3          |
| საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)    | 14 430,0        | 14 247,7        | 98,7           |
| უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)         | 30,0            | 98,2            | 327,3          |
| ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)            | 40,0            | 212,1           | 530,3          |
| ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე | 0,0             | 212,1           |                |
| სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე            | 20,0            | 11,3            | 56,5           |
| ფიზიკურ პირებიდან                                | 5,0             | 11,3            | 226,0          |
| იურიდიულ პირებიდან                               | 15,0            |                 | 0,0            |
| არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე         | 1 830,0         | 1 827,4         | 99,9           |
| ფიზიკურ პირებიდან                                | 200,0           | 1 827,4         | 913,7          |
| იურიდიულ პირებიდან                               | 1 630,0         |                 | 0,0            |
| დამატებითი ღირებულების გადასახადი                | 10 745,0        | 10 992,9        | 102,3          |



**5. ბიუჯეტის გრანტები**

*ათას ლარში*

| დასახელება  | 2024 წლის გეგმა | 2024 წლის ფაქტი | შესრულება %-ში |
|---|-----------------|-----------------|----------------|
| <b>გრანტები</b>   | <b>16 690,0</b> | <b>16 594,3</b> | <b>99,4</b>    |
| საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები                                   | 128,7           | 126,4           | 98,2           |
| გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან  | 16 561,3        | 16 467,9        | 99,4           |
| ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები   | 2 308,7         | 2 303,0         | 99,8           |
| მიზნობრივი ტრანსფერი  | 308,7           | 303,0           | 98,2           |
| ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად | 2 000,0         | 2 000,0         | 100,0          |
| კაპიტალური და სპეციალური ტრანსფერები  | 14 252,6        | 14 164,9        | 99,4           |




| N                                | გრანტის სახე                                    | გრანტის მიზნობრიობა  | თანხა<br>(ათ. ლარებში) |
|----------------------------------|---|--|------------------------|
| 1                                | საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები | ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის EU4Culture ფარგლებში, შემუშავებული ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის განვითარების სტრატეგიული გეგმის (2022-2027 წწ) მიხედვით გათვალისწინებული, შერჩეული აქტივობების განსახორციელებლად გამოყოფილი გრანტი | 128,7                  |
| 2                                | მიზნობრივი ტრანსფერი                            | საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა  | 41,5                   |
| 3                                | მიზნობრივი ტრანსფერი                            | "საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის   | 257,2                  |
| 4                                | მიზნობრივი ტრანსფერი                            | "სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის   | 10,0                   |
| 5                                | სპეციალური ტრანსფერი                            | ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად  | 2 000,0                |
| 6                                | სპეციალური ტრანსფერი                            | სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის ერთჯერადი დახმარება   | 875,6                  |
| 7                                | სპეციალური ტრანსფერი                            | ჯავახიშვილის ქუჩაზე მდებარე მრავალსართულიანი ს/სახლების ფართების გამოსყიდვა  | 2 150,0                |
| 8                                | სპეციალური ტრანსფერი                            | მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობა  | 361,1                  |
| 9                                | კაპიტალური ტრანსფერი                            | ავტობუსების შესყიდვა   | 206,1                  |
| 10                               | კაპიტალური ტრანსფერი                            | ნაგავშიდი მანქანების შესყიდვა  | 237,7                  |
| 11                               | კაპიტალური ტრანსფერი                            | ქალაქ ფოთში, კონსტიტუციის ქუჩაზე გზის საფარის რეაბილიტაცია   | 3 090,3                |
| 12                               | კაპიტალური ტრანსფერი                            | ქალაქ ფოთში, ვატაევის ქუჩის (დ. აღმაშენებლის ქუჩიდან 9 აპრილის ხეივანამდე) სარეაბილიტაციო სამუშაოები   | 634,8                  |
| 13                               | კაპიტალური ტრანსფერი                            | ქალაქ ფოთში, სარსანიას ქუჩაზე გზის საფარის რეაბილიტაცია (I ეტაპი)  | 1 626,7                |
| 14                               | კაპიტალური ტრანსფერი                            | ქალაქ ფოთში, ლოლუას ქუჩის რეაბილიტაციის სამუშაოები   | 753,4                  |
| 15                               | კაპიტალური ტრანსფერი                            | ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში, 9 აპრილის ქუჩის მარჯვენა და მარცხენა შტოს რეაბილიტაცია  | 735,0                  |
| 16                               | კაპიტალური ტრანსფერი                            | ქალაქ ფოთში, გიორგი ათონელის ქუჩაზე გზის საფარის რეაბილიტაცია  | 2 128,7                |
| 17                               | კაპიტალური ტრანსფერი                            | ქალაქ ფოთში, ქუჩების რეაბილიტაციის პროექტი, კიკალიშვილის ქუჩა  | 1 028,8                |
| 18                               | კაპიტალური ტრანსფერი                            | ფოთის მუნიციპალიტეტში, დუმბაძის ქუჩაზე გზის რეაბილიტაცია   | 424,4                  |
| <b>გამოყოფილი გრანტების ჯამი</b> |   |  | <b>16 690,0</b>        |

## 6. ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

| დასახელება  | ათას ლარში      |                 |                |
|---|-----------------|-----------------|----------------|
|   | 2024 წლის გეგმა | 2024 წლის ფაქტი | შესრულება %-ში |
| <b>სხვა შემოსავლები</b>                           | <b>15 520,0</b> | <b>10 884,2</b> | <b>70,1</b>    |
| შემოსავლები საკუთრებიდან                          | 3 240,0         | 4 064,4         | 125,4          |
| პროცენტები  | 660,0           | 906,1           | 137,3          |
| რენტა   | 2 580,0         | 3 158,3         | 122,4          |
| მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის | 2 500,0         | 3 004,8         | 120,2          |

| დასახელება  | 2024 წლის გეგმა | 2024 წლის ფაქტი | შესრულება %-ში |
|---|-----------------|-----------------|----------------|
| შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან | 80,0            | 153,5           | 191,9          |
| საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია  | 11 220,0        | 5 477,9         | 48,8           |
| ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები                                     | 11 200,0        | 5 458,5         | 48,7           |
| სანებართვო მოსაკრებელი  | 50,0            | 147,2           | 294,4          |
| ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის                  | 650,0           | 743,1           | 114,3          |
| სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი (საკონტინენტო მოსაკრებელი)                    | 10 500,0        | 4 568,2         | 43,5           |
| არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება                                 | 20,0            | 19,4            | 97,0           |
| შემოსავლები მომსახურების გაწვიდან   | 20,0            | 19,4            | 97,0           |
| ჯარიმები, სანქციები და საურავები  | 1 000,0         | 1 265,5         | 126,6          |
| ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული                               | 60,0            | 76,4            | 127,3          |

**განმარტება:** სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებლის (საკონტინენტო მოსაკრებელი) გეგმის შესრულებლობა (56,5%) გამოწვეული იყო იმით, რომ საკონტინენტო მოსაკრებლის ადმინისტრირება დაიწყო 2024 წლის აპრილის თვიდან, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია აღნიშნული პარამეტრის სრულფასოვან ადმინისტრირებაზე. ასევე, აღსანიშნავია წინა წლებთან შედარებით საკონტინენტო გადაზიდვების შემცირება ქალაქ ფოთის ნავსადგურში.



**7. ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციით**

*ათას ლარში*

| დასახელება              | 2024 წლის გეგმა | 2024 წლის ფაქტი | შესრულება %-ში |
|-------------------------|-----------------|-----------------|----------------|
| <b>ხარჯები</b>          | <b>44 503,3</b> | <b>41 359,0</b> | <b>92,9</b>    |
| შრომის ანაზღაურება      | 5 010,1         | 4 882,7         | 97,5           |
| საქონელი და მომსახურება | 10 694,6        | 9 261,1         | 86,6           |
| პროცენტი                | 329,6           | 317,5           | 96,3           |
| სუბსიდიები              | 20 443,9        | 20 218,6        | 98,9           |

| დასახელება             | 2024 წლის გეგმა | 2024 წლის ფაქტი | შესრულება %-ში |
|------------------------|-----------------|-----------------|----------------|
| გრანტები               | 656,6           | 575,8           | 87,7           |
| სოციალური უზრუნველყოფა | 2 376,5         | 2 043,3         | 86,0           |
| სხვა ხარჯები           | 4 992,0         | 4 060,0         | 81,3           |


## 8. ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

ათას ლარში

| პროგრამული კოდი | არაფინანსური აქტივების ზრდა პროგრამების მიხედვით                                  | 2024 წლის გეგმა | 2024 წლის ფაქტი | შესრულება %-ში |
|-----------------|---|-----------------|-----------------|----------------|
| <b>01 00</b>    | <b>მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები</b>                                 | <b>13 901,6</b> | <b>13 218,6</b> | <b>95,1</b>    |
| <b>02 00</b>    | <b>ინფრასტრუქტურის განვითარება</b>  | <b>19 555,8</b> | <b>15 544,6</b> | <b>79,5</b>    |
| 02 01           | საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება  | 15 646,0        | 12 107,8        | 77,4           |
| 02 03           | სანიაღვრე არხებისა და სატუმბო სადგურების მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 84,2            | 63,0            | 74,8           |
| 02 04           | ბინათმშენებლობა   | 0,6             |                 | 0,0            |
| 02 05           | მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია           | 410,9           | 234,7           | 57,1           |
| 02 06           | კეთილმოწყობის ღონისძიებები  | 2 744,2         | 2 553,9         | 93,1           |
| 02 07           | სერვისების ცენტრის ხელშეწყობა   | 4,0             | 2,4             | 60,0           |
| 02 08           | სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება                      | 329,7           | 261,3           | 79,3           |
| 02 09           | ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობის პროექტირება                               | 12,4            |                 | 0,0            |
| 02 13           | ცენტრალური პარკის ხელშეწყობა  | 316,6           | 314,4           | 99,3           |
| 02 14           | მუნიციპალური ინსპექციის ხელშეწყობა  | 7,2             | 7,1             | 98,6           |
| <b>03 00</b>    | <b>დასუფთავება და გარემოს დაცვა</b>   | <b>57,9</b>     | <b>57,7</b>     | <b>99,7</b>    |
| <b>04 00</b>    | <b>განათლება</b>  | <b>48,5</b>     | <b>47,1</b>     | <b>97,1</b>    |
| 04 01           | სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება  | 45,0            | 45,0            | 100,0          |
| 04 02           | სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია   | 3,5             | 2,1             | 60,0           |
| <b>05 00</b>    | <b>კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი</b>                                   | <b>1 009,4</b>  | <b>652,2</b>    | <b>64,6</b>    |
| 05 01           | სპორტის სფეროს განვითარება  | 845,5           | 502,2           | 59,4           |
| 05 02           | კულტურის სფეროს განვითარება   | 163,9           | 150,0           | 91,5           |
| <b>06 00</b>    | <b>ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა</b>                               | <b>155,3</b>    | <b>154,5</b>    | <b>99,5</b>    |
| 06 01           | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება  | 3,8             | 3,8             | 100,0          |
| 06 03           | ჯანდაცვის ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია                                     | 147,9           | 147,8           | 99,9           |
| 06 04           | სოციალური დაცვა   | 0,6             |                 | 0,0            |
| 06 07           | სოციალური მომსახურების ცენტრის ხელშეწყობა   | 3,0             | 2,9             | 96,7           |
|                 | <b>სულ არაფინანსური აქტივების ზრდა</b>  | <b>34 728,5</b> | <b>29 674,7</b> | <b>85,4</b>    |



| დასახელება                   | 2024 წლის გეგმა | 2024 წლის ფაქტი | შესრულება %-ში |
|------------------------------|-----------------|-----------------|----------------|
| არაფინანსური აქტივების კლება | 6 052,3         | 4 815,1         | 79,6           |
| ძირითადი აქტივები            | 100,0           | 484,8           | 484,8          |
| არაწარმოებული აქტივები       | 5 952,3         | 4 330,3         | 72,8           |
| მიწა                         | 5 952,3         | 4 330,3         | 72,8           |



### 9. ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

| ფუნქციონალური კოდი | დასახელება  | 2024 წლის გეგმა | 2024 წლის ფაქტი | შესრულება %-ში |
|--------------------|---|-----------------|-----------------|----------------|
| 701                | საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება  | 22 115,6        | 20 786,2        | 94,0           |
| 7011               | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები | 21 690,8        | 20 417,8        | 94,1           |
| 70111              | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა  | 21 540,8        | 20 417,8        | 94,8           |
| 70112              | ფინანსური და ფისკალური საქმიანობა   | 150,0           | 0,0             | 0,0            |
| 7016               | ვალთან დაკავშირებული ოპერაციები   | 424,8           | 368,4           | 86,7           |
| 702                | თავდაცვა  | 10,5            | 10,5            | 100,0          |
| 704                | ეკონომიკური საქმიანობა  | 17 577,6        | 13 242,3        | 75,3           |
| 7045               | ტრანსპორტი  | 17 577,6        | 13 242,3        | 75,3           |
| 70451              | საავტომობილო ტრანსპორტი და გზები  | 17 577,6        | 13 242,3        | 75,3           |
| 705                | გარემოს დაცვა   | 6 264,7         | 6 116,5         | 97,6           |

| ფუნქციონალური კოდი | დასახელება   | 2024 წლის გეგმა | 2024 წლის ფაქტი | შესრულება %-ში |
|--------------------|--|-----------------|-----------------|----------------|
| 7051               | ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება                | 2 527,1         | 2 506,1         | 99,2           |
| 7052               | ჩამდინარე წყლების მართვა   | 1 182,6         | 1 120,6         | 94,8           |
| 7056               | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში        | 2 555,0         | 2 489,8         | 97,4           |
| 706                | საბინაო-კომუნალური მეურნეობა                                     | 9 938,1         | 8 556,3         | 86,1           |
| 7061               | ბინათმშენებლობა  | 3 384,0         | 2 598,6         | 76,8           |
| 7062               | კომუნალური მეურნეობის განვითარება                                | 3 611,2         | 3 208,0         | 88,8           |
| 7064               | გარე განათება  | 1 238,7         | 1 156,7         | 93,4           |
| 7066               | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში | 1 704,2         | 1 593,0         | 93,5           |
| 707                | ჯანმრთელობის დაცვა   | 1 670,2         | 1 467,2         | 87,8           |
| 7074               | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება                             | 272,2           | 270,3           | 99,3           |
| 7076               | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში   | 1 398,0         | 1 196,9         | 85,6           |
| 708                | დასვენება, კულტურა და რელიგია                                    | 10 605,8        | 10 099,3        | 95,2           |
| 7081               | მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში                       | 7 224,5         | 6 768,2         | 93,7           |
| 7082               | მომსახურება კულტურის სფეროში                                     | 3 309,2         | 3 267,2         | 98,7           |
| 7084               | რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა                | 72,1            | 63,9            | 88,6           |
| 709                | განათლება  | 5 498,0         | 5 419,2         | 98,6           |
| 7091               | სკოლამდელი აღზრდა  | 4 855,2         | 4 839,3         | 99,7           |
| 7094               | უმაღლესი განათლება   | 601,3           | 539,8           | 89,8           |
| 70942              | უმაღლესი აკადემიური განათლება                                    | 601,3           | 539,8           | 89,8           |
| 7098               | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში            | 41,5            | 40,1            | 96,6           |
| 710                | სოციალური დაცვა  | 5 551,3         | 5 336,2         | 96,1           |
| 7104               | ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა                           | 2 120,9         | 1 916,6         | 90,4           |
| 7109               | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში      | 3 430,4         | 3 419,6         | 99,7           |
|                    | <b>სულ</b>   | <b>79 231,8</b> | <b>71 033,7</b> | <b>89,7</b>    |

## 10. ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

ათას ლარში

| დასახელება       | 2024 წლის გეგმა | 2024 წლის ფაქტი |
|------------------|-----------------|-----------------|
| საოპერაციო სალდო | 14 801,7        | 13 509,1        |
| მთლიანი სალდო    | -13 874,5       | -11 350,5       |

## 11. ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

| დასახელება                   | ათას ლარში      |                 |
|------------------------------|-----------------|-----------------|
|                              | 2024 წლის გეგმა | 2024 წლის ფაქტი |
| ფინანსური აქტივების ცვლილება | -14 450,1       | -11 925,9       |
| ზრდა                         | 0,0             | 2 619,2         |
| ვალუტა და დეპოზიტები         | 0,0             | 2 619,2         |
| კლება                        | 14 450,1        | 14 545,1        |
| ვალუტა და დეპოზიტები         | 14 450,1        | 14 545,1        |

## 12. ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება


ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება განისაზღვრა -575,6 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული წარმოადგენს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული სესხის ძირითადი თანხის დაფარვას, შემდეგ საინვესტიციო პროექტებზე:


- „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის პროექტი“ (2 ცალი კომპაქტორიანი ნაგავმზიდი მანქანა და 247 ცალი ნარჩენების კონტეინერი) (2017 წ.);
- ფოთის მუნიციპალიტეტისათვის სამგზავრო (რვა ნახევარი მეტრის სიგრძის) ავტობუსების - 10 (ათი) ერთეული და მისი სათადარიგო ნაწილების გადაცემის შესახებ (2021 წ.).

2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სასესხო ვალდებულება ჯამში შეადგენდა 3 247,9 ათას ლარს, ხოლო 2024 წლის 31 დეკემბრის 2 672,3 ათას ლარს.

## თავი II. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტების, პროგრამების, ქვეპროგრამების შესრულება

2024 წელს გადასახდელების შესრულების 89,7%-იანი მაჩვენებელი დაფიქსირდა. თანხობრივად, 2023 წელთან შედარებით დახარჯულია 25 470,3 ათ. ლარით მეტი, ხოლო 2022 წლის მაჩვენებელთან შედარებით 35 011,4 ათ. ლარით მეტი.






2024 წელს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის გადასახდელების გეგმა შეადგენდა 79 807,4 ათ. ლარს, ფაქტიურმა დაფინანსებამ შეადგინა 71 609,1 ათ. ლარი, ანუ 89,7%.

ხარჯების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 44 503,3 ათ. ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა 41 359,0 ათ. ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 92,9% და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 57,8%-ია.


არაფინანსური აქტივების ზრდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 34 728,5 ათ. ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა 29 674,7 ათ. ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 85,4% და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 41,4%-ია.

ვალდებულებების კლების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 575,6 ათ. ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა 575,4 ათ. ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99,9% და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 0,8%-ია.



ფინანსური რესურსი 71 609,1 ათ. ლარი ძირითადად მოხმარდა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, მოსახლეობის სოციალური პრობემების გაუმჯობესებას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას, კულტურული ტრადიციების დაცვას და სკოლამდელი განათლების ხელშეწყობას.

| ხარჯების სტრუქტურა პრიორიტეტების მიხედვით (ათას ლარებში) |  |                 |                 |                |
|--|--|-----------------|-----------------|----------------|
| პროგრამული კოდი  | პრიორიტეტის დასახელება                       | 2024 წლის გეგმა | 2024 წლის ფაქტი | შესრულება %-ში |
| 01 00  | მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები   | 22 648,9        | 21 372,1        | 94,4           |
| 02 00  | ინფრასტრუქტურის განვითარება                  | 29 939,3        | 24 130,3        | 80,6           |
| 03 00  | დასუფთავება და გარემოს დაცვა                 | 3 841,1         | 3 787,7         | 98,6           |
| 04 00  | განათლება                                    | 5 498,0         | 5 419,2         | 98,6           |
| 05 00  | კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი     | 10 605,8        | 10 099,3        | 95,2           |
| 06 00  | ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | 7 274,3         | 6 800,5         | 93,5           |
|  | <b>სულ ასიგნება</b>                          | <b>79 807,4</b> | <b>71 609,1</b> | <b>89,7</b>    |




**13. ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 00)**

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების საწინდარია მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მოწესრიგება. ყოველი განხორციელებული ახალი ინფრასტრუქტურული პროექტი მუნიციპალიტეტში ეკონომიკური აქტივობის და ბიზნესის განვითარების ახალი წყაროა.

შესაბამისად, მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და განვითარება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.

პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდა საგზაო და კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის სამუშაოები. ასევე, ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის გარდა, დაფინანსდა არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობის სამუშაოები, მათ ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები და სხვა აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებები.



| პროგრამული კოდი | დასახელება   | ათას ლარში      |                 |                |
|-----------------|--|-----------------|-----------------|----------------|
|                 |  | 2024 წლის გეგმა | 2024 წლის ფაქტი | შესრულება %-ში |
| <b>02 00</b>    | <b>ინფრასტრუქტურის განვითარება</b>   | <b>29 939,3</b> | <b>24 130,3</b> | <b>80,6</b>    |
| <b>02 01</b>    | <b>საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება</b>  | <b>17 577,6</b> | <b>13 242,3</b> | <b>75,3</b>    |
| 02 01 01        | გზების კაპიტალური შეკეთება   | 15 145,7        | 12 057,5        | 79,6           |
| 02 01 02        | გზების მიმდინარე შეკეთება  | 300,0           |                 |                |
| 02 01 03        | საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება  | 1 170,8         | 243,5           | 20,8           |
| 02 01 04        | ქუჩების სარემონტო სამუშაოები   | 961,1           | 941,3           | 97,9           |
| <b>02 02</b>    | <b>გარე განათება</b>   | <b>1 238,7</b>  | <b>1 156,7</b>  | <b>93,4</b>    |
| 02 02 01        | გარე განათების ელ. ენერჯის ხარჯების ანაზღაურება  | 659,8           | 659,7           | 100,0          |
| 02 02 02        | გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობა  | 578,9           | 497,0           | 85,9           |
| <b>02 03</b>    | <b>სანიაღვრე არხებისა და სატუმბო სადგურების მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია</b> | <b>1 182,6</b>  | <b>1 120,6</b>  | <b>94,8</b>    |
| 02 03 01        | სატუმბო სადგურების ელ. ენერჯის ხარჯების ანაზღაურება                                      | 54,4            | 54,4            | 100,0          |
| 02 03 02        | სანიაღვრე არხებისა და სატუმბო სადგურების მოვლა-პატრონობა                                 | 1 045,1         | 1 004,3         | 96,1           |
| 02 03 03        | სანიაღვრე არხების მოწყობა, სატუმბო სადგურების მშენებლობა-რეაბილიტაცია                    | 83,1            | 61,9            | 74,5           |
| <b>02 04</b>    | <b>ბინათმშენებლობა</b>   | <b>3 384,0</b>  | <b>2 598,6</b>  | <b>76,8</b>    |

| პროგრამული კოდი | დასახელება  | 2024 წლის გეგმა | 2024 წლის ფაქტი | შესრულება %-ში |
|-----------------|---|-----------------|-----------------|----------------|
| 02 04 01        | მრავალსართულიანი ს/სახლების ფასადების, სახურავებისა და სადარბაზოების რეაბილიტაცია | 2 446,3         | 2 084,6         | 85,2           |
| 02 04 02        | მრავალსართულიანი ს/სახლების ლიფტების რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია                   | 581,8           | 180,3           | 31,0           |
| 02 04 03        | საბინაო ფონდის მოვლა-პატრონობა  | 355,9           | 333,7           | 93,8           |
| <b>02 05</b>    | <b>მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია</b>    | <b>410,9</b>    | <b>234,7</b>    | <b>57,1</b>    |
| <b>02 06</b>    | <b>კეთილმოწყობის ღონისძიებები</b>   | <b>3 407,1</b>  | <b>3 179,5</b>  | <b>93,3</b>    |
| 02 06 01        | საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია                      | 2 559,7         | 2 341,1         | 91,5           |
| 02 06 02        | ატრაქციონებისა და ტრენაჟორების შექმნა-მონტაჟი                                     | 640,6           | 632,2           | 98,7           |
| 02 06 03        | სასაფლაოების მოვლა-პატრონობა  | 206,8           | 206,2           | 99,7           |
| <b>02 07</b>    | <b>სერვისების ცენტრის ხელშეწყობა</b>  | <b>536,5</b>    | <b>517,7</b>    | <b>96,5</b>    |
| <b>02 08</b>    | <b>სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება</b>               | <b>372,2</b>    | <b>303,6</b>    | <b>81,6</b>    |
| <b>02 09</b>    | <b>ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობის პროექტირება</b>                        | <b>12,4</b>     |                 |                |
| <b>02 10</b>    | <b>საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსება</b>        |                 |                 |                |
| <b>02 13</b>    | <b>ცენტრალური პარკის ხელშეწყობა</b>   | <b>1 241,0</b>  | <b>1 208,2</b>  | <b>97,4</b>    |
| <b>02 14</b>    | <b>მუნიციპალური ინსპექციის ხელშეწყობა</b>   | <b>576,3</b>    | <b>568,4</b>    | <b>98,6</b>    |

| პროგრამის დასახელება                  | კოდი   | საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება | დაფინანსება ათას ლარში |
|---------------------------------------|--|------------------------------------|------------------------|
|                                       | 02 01  |                                    | 13 242,3               |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახური; ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრი“.  |                                    |                        |
| პროგრამის აღწერა                      | ქალაქში საგზაო მოძრაობის ხარისხის გაუმჯობესების, სატრანსპორტო და ქვეითთა ნაკადის უსაფრთხოდ გადაადგილების მიზნით, განხორციელდა ქუჩების რეაბილიტაციის, ასფალტირებული ქუჩების დაზიანებული მონაკვეთების ორმული შეკეთების (მიმდინარე რემონტი), ქუჩების მოხრეშვა-დაგრეიდერების სამუშაოები და სხვა.<br>მოეწყო გენდერულად მგრძობიარე საგზაო ინფრასტრუქტურა; დაფინანსდა საგზაო ნიშნების შექმნა-მონტაჟის, ვიდეოსათვალთვალო კამერების მოვლა-პატრონობის სამუშაოები. ასევე, საზოგადოებრივი მნიშვნელობის ობიექტებთან, მოეწყო ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელები და სიჩქარის შემზღვევადი საშუალებები. |                                    |                        |
| მიღწეული შედეგი                       | მგზავრთა კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება. გენდერულად მგრძობიარე საგზაო ინფრასტრუქტურა.   |                                    |                        |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი     | გზების კაპიტალური შეკეთება | დაფინანსება ათას ლარში |
|-------------------------|----------|----------------------------|------------------------|
|                         | 02 01 01 |                            | 12 057,5               |
|                         |          |                            |                        |

|  |  |
|--|--|
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახური.  |
| ქვეპროგრამის აღწერა                      | <p>2024 წელს დაფინანსდა:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ სარსანიას ქუჩაზე გზის საფარის რეაბილიტაციის სამუშაოები - 1 712,3 ათ. ლარით;</li> <li>➤ კონსტიტუციის ქუჩაზე გზის საფარის რეაბილიტაციის სამუშაოები - 3 290,6 ათ. ლარით;</li> <li>➤ ვატაევის ქუჩის (დ.აღმაშენებლის ქუჩიდან 9 აპრილის ხეივანამდე) რეაბილიტაციის სამუშაოები - 699,2 ათ. ლარით;</li> <li>➤ ლოლუას ქუჩის რეაბილიტაციის სამუშაოები - 1 155,8 ათ. ლარით;</li> <li>➤ 9 აპრილის ქუჩის მარჯვენა და მარცხენა შტოს რეაბილიტაციის სამუშაოები - 865,2 ათ. ლარით;</li> <li>➤ გიორგი ათონელის ქუჩაზე გზის საფარის რეაბილიტაციის სამუშაოები - 2 195,0 ათ. ლარით;</li> <li>➤ კიკალიშვილის ქუჩის რეაბილიტაციის სამუშაოები - 1 226,8 ათ. ლარით;</li> <li>➤ დემეტრე თავდადებულის ქუჩის და სანაპირო ზოლის შემაერთებელი ასფალტის გზის საფარის მოწყობის სამუშაოები - 247,0 ათ. ლარით;</li> <li>➤ დუმბაძის ქუჩაზე გზის რეაბილიტაციის სამუშაოები - 447,3 ათ. ლარით;</li> <li>➤ 2024-2025 წლებში განსახორციელებელი, ქალაქის ქუჩების სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შეძენა-ექსპერტიზით - 181,5 ათ. ლარით;</li> <li>➤ გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა-ექსპერტიზით - 36,8 ათ. ლარით.</li> </ul> <p>2024 წლის განმავლობაში კაპიტალურად შეკეთდა 9 ქუჩა, რომლის საერთო სიგრძე შეადგენს 8 556 გრძივ მეტრს. მიმდინარეობს ა.დანელიას, გოგოლიშვილისა და საეკლესიოს ქუჩების რეაბილიტაციის სამუშაოები. კაპიტალურად შეკეთებული ქუჩების საერთო ფართობი 68 448 მ<sup>2</sup>, ხოლო მოწყობილი ტროტუარების საერთო ფართობი 12 783 მ<sup>2</sup> შეადგინა.</p> |
| მიღწეული შედეგი                          | მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურა. მგზავრთა უსაფრთხო გადაადგილება.   |

| ქვეპროგრამის დასახელება                  | კოდი   | გზების მიმდინარე შეკეთება | დაფინანსება ათას ლარში |
|--|--|---------------------------|------------------------|
|  | 02 01 02   |                           | 0,0                    |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახური.  |                           |                        |
| ქვეპროგრამის აღწერა                      | <p>გზების მიმდინარე შეკეთებისთვის გეგმით გათვალისწინებული იყო 300,0 ათ. ლარი. ქვეპროგრამა ითვალისწინებდა, სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციოდ, გზების რეაბილიტაციის სამუშაოების განხორციელებას და ასფალტირებული ქუჩების დაზიანებული მონაკვეთების ორმული შეკეთების (მიმდინარე რემონტი) სამუშაოების განხორციელებას.</p> <p>სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციოდ, გზების რეაბილიტაციის სამუშაოების განხორციელების საჭიროება არ დამდგარა. ხოლო, ასფალტირებული ქუჩების დაზიანებული მონაკვეთების ორმული შეკეთების (მიმდინარე რემონტი) სამუშაოების განხორციელება გადაეცა ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრს“. შესაბამისად, აღნიშნული მიმართულებით დაფინანსება არ განხორციელებულა.</p> |                           |                        |



| ქვეპროგრამის დასახელება                  | კოდი   | საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება | დაფინანსება ათას ლარში |
|--|--|-------------------------------|------------------------|
|  | 02 01 03   |                               | 243,5                  |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახური.  |                               |                        |
| ქვეპროგრამის აღწერა                      | <p>მგზავრთა უსაფრთხო გადაადგილებისა და დანაშაულის პრევენციისათვის, განხორციელდა ვიდეო სათვალთვალო კამერების მოვლა-პატრონობის და საგზაო ნიშნების შექმნა-მონტაჟის სამუშაოები.</p> <p>შესაბამისად, 2024 წელს დაფინანსდა:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ ვიდეო სათვალთვალო კამერების მოვლა-პატრონობის სამუშაო, თანხით - 193,4 ათ. ლარი;</li> <li>სულ სათვალთვალო ვიდეო-კამერების რაოდენობა შეადგენს 194 ერთეულს. მათ შორის: სატრანსპორტო საშუალებების სახელმწიფო ნომრის ამომცნობი კამერა 87 ერთეული, ზოგადი ხედვის კამერა 107 ერთეული, რომლებიც პერიოდულად საჭიროებენ მოვლა-პატრონობისა და კაპ.შეკეთების სამუშაოებს.</li> <li>➤ საგზაო ნიშნების შექმნა-მონტაჟი - 50,1 ათ. ლარი.</li> </ul> <p>აღნიშნული თანხით შექმნილ და დამონტაჟებულ იქნა 265 ერთეული საგზაო ნიშანი.</p> |                               |                        |
| მიღწეული შედეგი                          | ორგანიზებული საგზაო მოძრაობა; საგზაო შემთხვევათა პრევენცია; ტრანსპორტისა და ქვეითთა (ბავშვების, ქალების, შშმ პირების, მოხუცებისა და სხვა) უსაფრთხო გადაადგილებისთვის შექმნილი პირობები.  |                               |                        |

**განმარტება:** ქვეპროგრამის „საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება“ (პროგრამული კოდი 02 01 03) გეგმის შეუსრულებლობა (79.2%) გამოწვეული იყო იმით, რომ საგზაო შექმნილების შექმნა-მონტაჟის სამუშაოებზე ხელშეკრულება დაიდო 2024 წლის დეკემბრის თვეში.

| ქვეპროგრამის დასახელება                  | კოდი  | ქუჩების სარემონტო სამუშაოები | დაფინანსება ათას ლარში |
|--|---|------------------------------|------------------------|
|  | 02 01 04  |                              | 941,3                  |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრი“.   |                              |                        |
| ქვეპროგრამის აღწერა                      | <p>ქვეპროგრამის ფარგლებში 2024 წელს განხორციელდა ქუჩების სარემონტო სამუშაოები. კერძოდ, დაგრეიდერდა 497 100 მ<sup>2</sup> გზის საფარი (136 ქუჩა), ქალაქის ქუჩების მოსახრემად (165 ქუჩა) და მრავალსართულიანი ს/სახლების ეზოების მოსაზვინად გამოყენებულ იქნა 4 789 მ<sup>3</sup> მოცულობის ღორღი (ქვიშა), ქუჩების დაგრეიდერებისას აყრილი მიწანარევი ხრეშქვიშის მასა საჭიროების მიხედვით გატანილ იქნა ქალაქის სხვადასხვა ლოკაციაზე.</p> <p>გარდა ამისა, ჩატარებულ იქნა სამუშაოები ქუჩების კეთილმოწყობის მიზნით: აღდგენილ იქნა დაზიანებული საგზაო ნიშნები და მრავალსართულიანი ბინების ეზოებში განთავსებული ბუნგალოები, განხორციელდა სიჩქარის შემზღუდავი ბარიერის მონტაჟი, დაზიანებული სახურავების, საკვამური მილების, წყალსაწრეტი სისტემის შეკეთების სამუშაოები და სხვა.</p> |                              |                        |
| მიღწეული შედეგი                          | ქუჩების ორმული შეკეთება, მოხრეშვა, დაგრეიდერება და წლის მანძილზე გზების მუშა მდგომარეობაში შენარჩუნება. შექმნილი უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილების პირობები.   |                              |                        |

| პროგრამის დასახელება | კოდი  | გარე განათება | დაფინანსება ათას ლარში |
|----------------------|-------|---------------|------------------------|
|                      | 02 02 |               | 1 156,7                |

|                                       |   |
|---------------------------------------|---|
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახური; ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრი“.   |
| პროგრამის აღწერა                      | დამის პერიოდში, მუნიციპალიტეტში, უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნისათვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე განათებას. რისი გათვალისწინებითაც, პროგრამის ფარგლებში, დაფინანსდა გარე განათების, ს/სახლებისა და ძეგლების მინათების და სხვა ტიპის განათების ელექტროენერჯის ხარჯები, ასევე გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობის სამუშაოები.<br>გამართული გარე განათების სისტემა გენდერულად მნიშვნელოვანია, რადგან გაუნათებელი ქუჩები განსაკუთრებით რისკის შემცველია ქალების, ბავშვების, ხანდაზმული და შშმ პირებისთვის. გარე განათების სისტემის გამართული ფუნქციონირება ამცირებს დანაშაულის რისკებს. |
| მიღწეული შედეგი                       | განათების სისტემის შეუფერხებელი ფუნქციონირება. დამის საათებში მოსახლეობის (განსაკუთრებით ქალების, ბავშვების, ხანდაზმულებისა და შშმ პირების) უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილების უზრუნველყოფა.  |

|  |   |   |                        |
|--|---|---|------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება                  | კოდი  | გარე განათების ელ. ენერჯის ხარჯების ანაზღაურება | დაფინანსება ათას ლარში |
|  | 02 02 01  |   | 659,7                  |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახური.   |   |                        |
| ქვეპროგრამის აღწერა                      | ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა გარე განათების, ს/სახლებისა და ძეგლების მინათების და სხვა ტიპის განათების ელექტროენერჯის ხარჯების დაფინანსება.<br>ანაზღაურდა 255 მრავალბინიანი ს/სახლის და 633 სადარბაზოს განათების ხარჯი. ასევე, ანაზღაურდა გარე განათების 3 700 ბომბის და 7 000 სანათის მიერ გახარჯული ელ.ენერჯის საფასური. |   |                        |
| მიღწეული შედეგი                          | მგზავრთა უსაფრთხო გადაადგილება.   |   |                        |

|  |   |                                       |                        |
|--|---|---------------------------------------|------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება                  | კოდი  | გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობა | დაფინანსება ათას ლარში |
|  | 02 02 02  |                                       | 497,0                  |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრი“.   |                                       |                        |
| ქვეპროგრამის აღწერა                      | ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირებისათვის განხორციელდა გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობის სამუშაოები. კერძოდ, გარე განათების სანათების, პროექტორების, ელექტროკარადების მოვლა-პატრონობის სამუშაოები, გარე განათების წერტილების მოვლა-ექსპლოატაციის სამუშაოები, გარე განათების წერტილებზე მომსახურება (სადენების შეერთების შემოწმება, სადენების დამჭერების შემოწმება), დაზიანებული კაბელების შეცვლა, საჰაერო ხაზების შემოწმება, დაზიანებული ლითონის ბოძების აღდგენა და ახლით შეცვლა, გამანაწილებელ ყუთებში კაბელების შეერთებების დათვალიერება-გაწმენდა, აღმოჩენილი დაზიანებების აღმოფხვრა, გარე განათების გადამწვარი ნათურების შეცვლა. კერძოდ, გამოცვლილ იქნა დროსელი - 1 ცალი, სოდიუმის ნათურა - 1 ცალი, ეკო ნათურა -217 ცალი, გოფირებული მილი - 219 გრძ.მ, ლედის სანათი 10 ცალი, ელ.კაბელი - 3 226 გრძ.მ, ლედის სანათის დრაივერი - 357 ცალი, ელ. გამთიშველი - 71 ცალი, ლედის პროექტორი - 57 ცალი, განათების ბურთი - 73 ცალი, ლედ სანათის ჩიპი - 830 ცალი და სხვა. |                                       |                        |

|                 |  |
|-----------------|--|
| მიღწეული შედეგი | მთელი წლის მანძილზე, ნებისმიერ კლიმატური პირობებში, გარე განათების სისტემის გამართული ფუნქციონირება. ტრანსპორტისა და ქვეითა უსაფრთხო გადაადგილება. |
|-----------------|--|

| პროგრამის დასახელება                  | კოდი  | სანიაღვრე არხებისა და სატუმბო სადგურების მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | დაფინანსება ათას ლარში |
|---------------------------------------|---|---|------------------------|
|                                       | 02 03   |   | 1 120,6                |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახური; ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრი“.   |   |                        |
| პროგრამის აღწერა                      | <p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სანიაღვრე არხების, პრობლემური ხიდბოგირების (დემონტაჟი-მონტაჟი), არხების ურთიერთშეერთების ადგილების, საწვიმური ჭების და პრობლემური მონაკვეთების ლოკალური და სისტემატიური გაწმენდა გამტარუნარიანობის შესანარჩუნებლად.</p> <p>ქალაქის სამელიორაციო ქსელის გამტარიანობის გაზრდის, ნიაღვრული წყლების წყალმომღებებში დროულად ჩაშვებისა და ექსტრემალურ პირობებში ქალაქის დატბორვის თავიდან აცილების და ვითარების შემსუბუქების მიზნით, დაფინანსდა სატუმბო სადგურების მოვლა-პატრონობის სამუშაოები.</p> <p>პროგრამის ფარგლებში, ასევე, დაფინანსდა სატუმბო სადგურების ელექტრო ენერჯის ხარჯები.</p> |   |                        |
| მიღწეული შედეგი                       | შესაძლო საფრთხეების თავიდან აცილება. გამართული კომუნალური ინფრასტრუქტურა.   |   |                        |

| ქვეპროგრამის დასახელება                  | კოდი  | სატუმბო სადგურების ელ. ენერჯის ხარჯების ანაზღაურება | დაფინანსება ათას ლარში |
|--|---|---|------------------------|
|  | 02 03 01  |   | 54,4                   |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახური.   |   |                        |
| ქვეპროგრამის აღწერა                      | <p>ქალაქის სამელიორაციო ქსელის გამტარიანობის გაზრდის, ნიაღვრული წყლების წყალმომღებებში დროულად ჩაშვებისა და ექსტრემალურ პირობებში ქალაქის დატბორვის თავიდან აცილების ან ვითარების შემსუბუქების მიზნით, აუცილებელია წყალშემკრები მაგისტრალური არხების ბოლოში, წყალმომღებებთან, სათანადო სიმძლავრის სატუმბო წყალგადამქაჩი სატუმბების გამართული ფუნქციონირება. რისი გათვალისწინებითაც, ქვეპროგრამის ფარგლებში, განხორციელდა 8 სატუმბო სადგურების ელექტრო ენერჯის ხარჯების დაფინანსება.</p> |   |                        |
| მიღწეული შედეგი                          | გამართული კომუნალური ინფრასტრუქტურა.  |   |                        |

| ქვეპროგრამის დასახელება                  | კოდი  | სანიაღვრე არხებისა და სატუმბო სადგურების მოვლა-პატრონობა | დაფინანსება ათას ლარში |
|--|---|--|------------------------|
|  | 02 03 02  |  | 1 004,3                |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრი“.   |  |                        |
| ქვეპროგრამის აღწერა                      | <p>ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა სანიაღვრე არხების, პრობლემური ხიდბოგირების (საჭიროების შემთხვევაში მისი დემონტაჟი-მონტაჟი), არხების ურთიერთშეერთების ადგილების, საწვიმური ჭების და პრობლემური მონაკვეთების ლოკალური და სისტემატიური გაწმენდა გამტარუნარიანობის შესანარჩუნებლად.</p> <p>წლის განმავლობაში ამოწმენდილ იქნა სხვადასხვა ქუჩებზე განთავსებული</p> |  |                        |

|                 |   |
|-----------------|---|
|                 | <p>სანიაღვრე არხები სიგრძით - 165 010 გრმ.მ, არხების სრულყოფილად ამოწმენდის მიზნით მოხდა 5 ერთეული ხიდ-ბოგირის დემონტაჟი-მონტაჟი.</p> <p>ქალაქის სამელიორაციო ქსელის გამტარიანობის გაზრდის, ნიაღვრული წყლების წყალმომღებებში დროულად ჩაშვებისა და ექსტრემალურ პირობებში ქალაქის დატბორვის თავიდან აცილების ან ვითარების შემსუბუქების მიზნით, წყალშემკრები მაგისტრალური არხების ბოლოში, წყალმომღებებთან, სათანადო სიმძლავრის სატუმბი წყალგადამქაჩი სატუმბების გამართული ფუნქციონირებისათვის 6 სატუმბ სადგურში განხორციელდა საჭირო პროფილაქტიკური და მიმდინარე სამუშაოები. კერძოდ, შეკეთდა 37 და 75 კვტ-იანი ტუმბოები, დამონტაჟდა 150 კვტ-იანი პროექტორი და 1 ტონიანი ტალი, შესრულდა ელ.გაყვანილობის მოწესრიგების სამუშაოები.</p> |
| მიღწეული შედეგი | შესაძლო საფრთხეების თავიდან აცილება. გამართული კომუნალური ინფრასტრუქტურა.   |

| ქვეპროგრამის დასახელება                  | კოდი   | სანიაღვრე არხების მოწყობა, სატუმბო სადგურების მშენებლობა-რეაბილიტაცია | დაფინანსება ათას ლარში |
|--|--|---|------------------------|
|  | 02 03 03   |   | 61,9                   |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახური.  |   |                        |
| ქვეპროგრამის აღწერა                      | <p>ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ სატუმბი სადგურების რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა, ექსპერიზით - 23,8 ათ. ლარით;</li> <li>➤ სანიაღვრე წყლების და მაგისტრალური მიწისსამოსიანი არხების გაწმენდის/აღდგენის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა, ექსპერტიზით - 38,1 ათ. ლარით.</li> </ul> |   |                        |
| მიღწეული შედეგი                          | კომუნალური ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დროული და კვალიფიციური მომზადება.   |   |                        |

| პროგრამის დასახელება                  | კოდი   | ბინათმშენებლობა | დაფინანსება ათას ლარში |
|---------------------------------------|--|-----------------|------------------------|
|                                       | 02 04  |                 | 2 598,6                |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახური; ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრი“.  |                 |                        |
| პროგრამის აღწერა                      | <p>ქალაქში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ბინათმშენებლობის ამაღლებები ვერ ახორციელებენ საერთო ქონების დამოუკიდებელ მოვლა-პატრონობას და განვითარებას. აქედან გამომდინარე, განხორციელდა მრავალსართულიანი ს/სახლების ფასადებისა და სახურავების კაპ. შეკეთების, მრავალსართულიანი ს/სახლების ლიფტების რეაბილიტაციის და საბინაო ფონდის მოვლა-პატრონობის სამუშაოები. ასევე დაფინანსდა პროექტირება-ექსპერტიზის ხარჯები.</p> |                 |                        |
| მიღწეული შედეგი                       | მოწესრიგებული და გამართული, გენდერულად პასუხისმგებლიანი კომუნალური ინფრასტრუქტურა.   |                 |                        |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი     | მრავალსართულიანი ს/სახლების ფასადების, სახურავებისა და სადარბაზოების რეაბილიტაცია | დაფინანსება ათას ლარში |
|-------------------------|----------|---|------------------------|
|                         | 02 04 01 |   | 2 084,6                |

|  |   |
|--|---|
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახური.   |
| ქვეპროგრამის აღწერა                      | <p>2024 წელს დაფინანსდა:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ მრავალბინიანი ს/სახლების სახურავების რეაბილიტაცია - 1 580,3 ათ. ლარით; აღნიშნული თანხით რეაბილიტირდა კოსტავას №10, სამეგრელოს №34, №36, კაცაძის №6, 9 აპრილის №33, აღმაშენებლის №28, მემედ აბაშიძის №14, ა.დანელიას №72, ჩხეიძის №6, გურიის №177, კოსტავას №6, ჭყონდიდელის №18, 9 აპრილის №14, არზიანის №9, ელადას №17, 9 აპრილის №17, მალთაყვის სანაპირო №8, №10, გორგასლის №4, სამეგრელოს №32, ელადას №21, ელადას №8-ში მდებარე ს/სახლების სახურავები.</li> <li>➤ მრავალბინიანი ს/სახლების სახურავების რეაბილიტაციის პროექტირება-ექსპერტიზა - 48,3 ათ. ლარით;</li> <li>➤ 9 აპრილის ხეივანის №4-ში მდებარე მრავალბინიანი ს/სახლის ფასადის რეაბილიტაცია - 126,6 ათ. ლარით;</li> <li>➤ 9 აპრილის ხეივანის №6-ში მდებარე მრავალბინიანი ს/სახლის ფასადის რეაბილიტაცია - 135,1 ათ. ლარით;</li> <li>➤ თამარ მეფის ქუჩის №52-ში მდებარე მრავალბინიანი ს/სახლის ფასადის რეაბილიტაცია - 89,6 ათ. ლარით;</li> <li>➤ მრავალბინიანი ს/სახლების ფასადების რეაბილიტაციის პროექტირება-ექსპერტიზა - 78,6 ათ. ლარით;</li> <li>➤ რუსთაველის რკალის №12-ში მდებარე 3 სართულიანი ს/სახლისა და დემეტრე თავდადებულის ქუჩის №9-ში მდებარე 9 სართულიანი ს/სახლის ტექნიკური მდგომარეობის დადგენის მიზნით ექსპერტიზის ჩატარება - 8,2 ათ. ლარით;</li> <li>➤ ფარნავაზ მეფის ქუჩის №1-ში მდებარე მრავალბინიანი ს/სახლის გუმბათის ტექნიკური მდგომარეობის დადგენის მიზნით ექსპერტიზის ჩატარება - 1,4 ათ. ლარით;</li> <li>➤ ფარნავაზ მეფის ქუჩა №1-ში მდებარე მრავალბინიანი ს/სახლის გუმბათის დემონტაჟისა და მის ადგილზე გადახურვის სამუშაოების მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა ექსპერტიზით - 0,7 ათ. ლარით;</li> <li>➤ თავდადებულის ქუჩა №9-ში მდებარე მრავალსართულიან ს/სახლზე, ძირითადი კონსტრუქციული ელემენტების ტექნიკური მდგომარეობის დადგენის მიზნით, ექსპერტიზის ჩატარება - 3,9 ათ. ლარით;</li> <li>➤ წმინდა ნინოს ქუჩა №3-ში მდებარე მრავალბინიანი ს/სახლის რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა ექსპერტიზით - 11,9 ათ. ლარით.</li> </ul> |
| მიღწეული შედეგი                          | მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა. შენობების ექსპლოატაციის ვადის გაზრდა.   |

| ქვეპროგრამის დასახელება                  | კოდი   | მრავალსართულიანი ს/სახლების ლიფტების რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია | დაფინანსება ათას ლარში |
|--|--|---|------------------------|
|  | 02 04 02   |   | 180,3                  |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახური.  |   |                        |
| ქვეპროგრამის აღწერა                      | <p>ქვეპროგრამის ფარგლებში შეკეთდა 4 ერთეული ლიფტი. კერძოდ, სევასტოპოლის №2, №4, №6 და თამარ მეფის №2-ში მდებარე მრავალბინიანი ს/სახლების ლიფტები, თანხით - 168,6 ათ. ლარი.</p> <p>ასევე დაფინანსდა კოსტავას №20, ჭავჭავაძის №138, №150, ჭყონდიდელის №18, დ.აღმაშენებლის №8, ერეკლე მეორეს №30-ში მდებარე მრავალბინიანი ს/სახლების ლიფტების რეაბილიტაციის პროექტირება-ექსპერტიზის თანხები - 11,7 ათ. ლარით.</p> |   |                        |

|                 |   |
|-----------------|---|
| მიღწეული შედეგი | მოწესრიგებული და გამართული კომუნალური ინფრასტრუქტურა. მოწყვლადი ჯგუფებისთვის მაღალ სართულებზე გადაადგილების ხელშეწყობა. |
|-----------------|---|

**განმარტება:** ქვეპროგრამის „მრავალსართულიანი ს/სახლების ლიფტების რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია“ (პროგრამული კოდი 02 04 02) გეგმის შეუსრულებლობა (69,0%) გამოწვეული იყო იმით, რომ მრავალბინიანი ს/სახლების ლიფტების რეაბილიტაციაზე ხელშეკრულება დაიდო 2024 წლის ბოლოს და შესაბამისად სამუშაოები ვერ დასრულდა.

| ქვეპროგრამის დასახელება                  | კოდი  | საბინაო ფონდის მოვლა-პატრონობა | დაფინანსება ათას ლარში |
|--|---|--------------------------------|------------------------|
|  | 02 04 03  |                                | 333,7                  |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრი“.   |                                |                        |
| ქვეპროგრამის აღწერა                      | <p>ქალაქში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობები ვერ ახორციელებენ საერთო ქონების დამოუკიდებელ მოვლა-პატრონობას და განვითარებას. აქედან გამომდინარე, ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა მრავალსართულიანი ს/სახლების საერთო სარგებლობის წყლისა და საკანალიზაციო კომუნიკაციების მოვლა-პატრონობის სამუშაოები. დაფინანსდა სართულებს შუა საერთო სარგებლობის სასმელი წყლისა და საკანალიზაციო სისტემების აღდგენის, ეზოებში საკანალიზაციო ჭების შეკეთების, ახალი ჭების აშენება-მოწყობის, თავსახურების მონტაჟის, ამონიზბვის ორმოების გაწმენდის, საერთო სარგებლობის საპირფარეშოების გაწმენდის, სარდაფებში საკანალიზაციო სისტემის მოწყობის, სარდაფებიდან წყლისა და ფეკალური მასის ამოტუმბვის, მრავალსართულიან ბინებზე წყალსაწრეტი - საწვიმური სისტემის დემონტაჟის, გაწმენდა-შეკეთების, მონტაჟის სამუშაოები და სხვა.</p> <p>კერძოდ:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>➢ ს/სახლების ეზოებში გაიწმინდა 514 ერთეული საკანალიზაციო ქსელი და ჭა;</li> <li>➢ ს/სახლების ეზოებში გაიწმინდა 42 ერთეული, კერძო სექტორში 189 ერთეული, სკოლამდელ დაწესებულებაში 15 ერთეული და 26 მაისის ქუჩაზე 4 ერთეული საკანალიზაციო ამონიზბვის ორმო. კერძო სექტორში გაწეული მომსახურების შედეგად შემოსული თანხის რაოდენობამ შეადგინა 11 606 ლარი.</li> <li>➢ ს/სახლების ეზოებში მრავალჯერადად გაიწმინდა საერთო სარგებლობის 10 საპირფარეშო;</li> <li>➢ ს/სახლების ეზოებში შეკეთდა და მოპირკეთდა 24 ერთეული საკანალიზაციო ჭა;</li> <li>➢ ს/სახლების ეზოებში დამონტაჟდა 11 ცალი საკანალიზაციო ჭის რკ/ბეტონის სახურავი;</li> <li>➢ ს/სახლების ეზოებში დამონტაჟდა საკანალიზაციო სისტემა 180 გრძ.მ და ფასონური ნაწილები 40 ცალი;</li> <li>➢ 41 ს/სახლის სარდაფიდან ამოიტუმბა წყალი და ფეკალური მასა - 14 600 მ<sup>3</sup>;</li> <li>➢ ს/სახლების სარდაფში დამონტაჟდა საკანალიზაციო სისტემა - 176,5 გრძ.მ;</li> <li>➢ ს/სახლების სარდაფში დამონტაჟდა 235 ცალი ფასონური ნაწილები;</li> <li>➢ ს/სახლების სართულებს შუა დამონტაჟდა საკანალიზაციო სისტემა - 180 გრძ.მ;</li> <li>➢ ს/სახლებში სართულებს შუა დამონტაჟდა ფასონური ნაწილები - 252 ცალი;</li> <li>➢ დამონტაჟდა-გამოიცვალა: <ul style="list-style-type: none"> <li>საწვიმური მილები - 125,8 გრძ.მ;</li> <li>წყალსაწრეტი სისტემის ძაბრი - 20 ცალი;</li> <li>წყალსაწრეტი სისტემის საწვიმური ღარი - 1 212 გრძ.მ;</li> <li>წყალსაწრეტი სისტემის ფასონური ნაწილები - 44 ცალი;</li> <li>თუნუქის ფურცელი - 12,5 მ<sup>2</sup>.</li> </ul> </li> </ul> |                                |                        |

|                 |   |
|-----------------|---|
| მიღწეული შედეგი | მოწესრიგებული და გამართული გენდერულად მგრძობიარე კომუნალური ინფრასტრუქტურა. |
|-----------------|---|

| პროგრამის დასახელება                  | კოდი  | მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | დაფინანსება ათას ლარში |
|---------------------------------------|---|---|------------------------|
|                                       | 02 05   |   | 234,7                  |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახური.   |   |                        |
| პროგრამის აღწერა                      | <p>პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ მერიის ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა ექსპერიზით - 6,3 ათ. ლარით;</li> <li>➤ მერიის ადმინისტრაციული შენობის კაპ. შეკეთება - 137,9 ათ. ლარით;</li> <li>➤ დ. აღმაშენებლის №12-ში მდებარე ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის შენობის ეზოში, სასაწყობე შენობის რეაბილიტაცია - 30,5 ათ. ლარით;</li> <li>➤ დიალიზის კაბინეტის სარემონტო სამუშაოები - 60,0 ათ. ლარით.</li> </ul> |   |                        |
| მიღწეული შედეგი                       | მოწესრიგებული და გამართული ინფრასტრუქტურა. ბენეფიციარებისათვის შესაბამისი პირობებით უზრუნველყოფა.   |   |                        |

**განმარტება:** პროგრამის „მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია“ (პროგრამული კოდი 02 05) გეგმის შეუსრულებლობა (42,9%) გამოწვეული იყო იმით, რომ მერიის ადმინისტრაციული შენობის კაპ. შეკეთება უნდა დამთავრებულიყო 2024 წლის ბოლოს. მშენებელმა დაარღვია ვადები და ობიექტის ჩაბარება ვერ მოხდა.

| პროგრამის დასახელება                  | კოდი  | კეთილმოწყობის ღონისძიებები | დაფინანსება ათას ლარში |
|---------------------------------------|---|----------------------------|------------------------|
|                                       | 02 06   |                            | 3 179,5                |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახური;   |                            |                        |
| პროგრამის აღწერა                      | <p>ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ცენტრი“.</p> <p>მოსახლეობისათვის დასასვენებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით, დაფინანსდა სხვადასხვა კეთილმოწყობის სამუშაოები.</p> <p>პროგრამის ფარგლებში ასევე განხორციელდა ქალაქის ტერიტორიაზე არსებული 7 სასაფლაოს მოვლა-პატრონობის სამუშაოები და დაფინანსდა პროექტირება-ექსპერტიზის ხარჯები.</p> |                            |                        |
| მიღწეული შედეგი                       | ქალაქის იერსახის, მოსახლეობისათვის დასასვენებელი პირობებისა და სარიტუალო მომსახურების გაუმჯობესება.   |                            |                        |

| ქვეპროგრამის დასახელება                  | კოდი  | საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია | დაფინანსება ათას ლარში |
|--|---|--|------------------------|
|  | 02 06 01  |  | 2 341,1                |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახური.   |  |                        |
| ქვეპროგრამის აღწერა                      | <p>ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ სახელმწიფო დროშების შექმნა - 15,7 ათ. ლარით;</li> <li>➤ აღნიშნული თანხით შექმნილ იქნა 23 ერთეული დროშა.</li> <li>➤ ნიკოლაძის სანაპიროს კეთილმოწყობის სამუშაოების პროექტირება-</li> </ul> |  |                        |

|                 |   |
|-----------------|---|
|                 | <p>ექსპერტიზა - 28,3 ათ. ლარით;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ ნიკოლაძის სანაპიროს კეთილმოწყობა - 986,9 ათ. ლარით; აღნიშნული თანხით, პირველ ეტაპზე, მიმდინარეობს ტროტუარის მოწყობის სამუშაოები.</li> <li>➤ დასასვენებელი სივრცეების მოწყობა - 74,7 ათ. ლარით; აღნიშნული თანხით შექმნილ იქნა სკამები და საჩრდილობლები, რომლებიც განთავსდა კლდიაშვილის №86-88 (საერთო ეზო), სევასტოპოლის №2, ნინო ჟვანიას №4, აფხაზეთის №11 ლოკაციაზე.</li> <li>➤ მალთაყვის სანაპირო ზოლის კეთილმოწყობის სამუშაოები - 367,4 ათ. ლარით; აღნიშნული თანხით განხორციელდა სანაპირო ზოლზე არსებული საშხაპე კაბინების რეაბილიტაციის და იმავე ტიპის 4 ერთეული საშხაპე კაბინის მოწყობის, 2 ტიპის ხის საჩრდილობლის, გარე განათების ანძებისა და საფეხმავლო ბილიკების მოწყობის სამუშაოები. ასევე განხორციელდა გარე საპირფარეშოს სრული რეაბილიტაცია, რაც მოიცავდა ინტერიერისა და ფასადის სამუშაოებს.</li> <li>➤ ავტობუსების გაჩერებებზე მგზავრთა მოსაცდელეების მოწყობა - 177,0 ათ. ლარით; აღნიშნული თანხით განხორციელდა საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებების მოწყობა 12 ლოკაციაზე.</li> <li>➤ მრავალბინიანი ს/სახლების ეზოების კეთილმოწყობა - 394,1 ათ. ლარით; აღნიშნული თანხით განხორციელდა ბარბაქადის №1, №2, №3, №4, კლდიაშვილის №86, №88, ელადას №12, №14, კაცაძის №6, გურიის №177, №179, №181, №183, №185, №187, №189, №191, №193-ში მდებარე მრავალბინიანი ს/სახლების ეზოების კეთილმოწყობის სამუშაოები.</li> <li>➤ მზის ენერჯია და მდგრადი ურბანული სივრცეების პროექტის განხორციელების თანადაფინანსება - 22,0 ათ. ლარით; აღნიშნული თანხა მოხმარდა ავტომობილის ელექტრო დამუხტვის სადგურის მოწყობის თანადაფინანსებას.</li> <li>➤ საახალწლო ქალაქგაფორმება - 275,0 ათ. ლარით. აღნიშნული თანხით შექმნილ იქნა საახალწლო ინვენტარი და აქსესუარები.</li> </ul> |
| მიღწეული შედეგი | ქალაქის იერსახისა და მოსახლეობისათვის დასასვენებელი პირობების გაუმჯობესება.   |

|  |  |   |                        |
|--|--|---|------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება                  | კოდი   | ატრაქციონებისა და ტრენაჟორების შექმნა-მონტაჟი | დაფინანსება ათას ლარში |
|  | 02 06 02   |   | 632,2                  |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვისა და ტრანსპორტის სამსახური.  |   |                        |
| ქვეპროგრამის აღწერა                      | <p>მოსახლეობის ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებისათვის, ბავშვებისათვის გასართობი გარემოს შექმნისათვის, შექმნილ და დამონტაჟებულ იქნა 10 ერთეული ატრაქციონი, თანხით - 573,2 ათ. ლარი.</p> <p>ასევე, 6 ერთეული საბავშვო ატრაქციონების საფუძვლები მოეწყო რკ/ბეტონის ფილებით, თანხით - 59,0 ათ. ლარი.</p> |   |                        |
| მიღწეული შედეგი                          | მოსახლეობისათვის დასასვენებელი პირობების გაუმჯობესება.   |   |                        |

|                         |          |                              |                        |
|-------------------------|----------|------------------------------|------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი     | სასაფლაოების მოვლა-პატრონობა | დაფინანსება ათას ლარში |
|                         | 02 06 03 |                              | 206,2                  |



|  |  |
|--|--|
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ცენტრი“.   |
| ქვეპროგრამის აღწერა                      | <p>ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა ქ. ფოთის ტერიტორიაზე არსებული 7 სასაფლაოს, კერძოდ: ნინოშვილის, მალთაყვის, მალთაყვის (ბარათაშვილი), კუნძულის, ნაზადის, ე.წ. ებრაელების და ე.წ. სტარავერების სასაფლაოების მოვლა-პატრონობის სამუშაოები. ამ სასაფლაოების მთლიანი ფართობი შეადგენს 232 232 მ<sup>2</sup>-ს.</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ "ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ცენტრმა" უზრუნველყო:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ სასაფლაოების ღობის დაზიანებული მონაკვეთების შეკეთება და შეღებვა;</li> <li>➤ ყველა არსებული სასაფლაოების მრავალჯერადად გაცეცხვითი სამუშაოები; სულ გაიცელა 450 000 მ<sup>2</sup> ფართობი.</li> <li>➤ მალთაყვის უბნის სასაფლაოზე, ბარათაშვილის ქუჩის მხრიდან, გაწმენდითი, მათ შორის ნარჩენი ხის ფესვების ამოძირკვის და ნაწილობრივ მოზვინვის სამუშაოები;</li> <li>➤ ე.წ. ებრაელების სასაფლაოს შემოღობვა, მოწესრიგება, ეკალ-ბარდებისგან გაწმენდა, გადაბერებული ხეების მოჭრა, ღობის და ჭიშკრის შეკეთება-შეღებვა;</li> <li>➤ ე.წ. სტარავერების სასაფლაოს მოწესრიგება, ეკალ-ბარდებისგან გაწმენდა, გადაბერებული ხეების მოჭრა;</li> <li>➤ ყველა მუნიციპალურ სასაფლაოზე მოუვლელი, უსახელო საფლაავების გაწმენდა-დასუფთავება.</li> </ul> <p>ყველა არსებულ სასაფლაოებზე ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ცენტრმა“ უზრუნველყო გამოჩენილი და დამსახურებული ფოთელების საფლაავების მოვლა-პატრონობის სამუშაოები.</p> |
| მიღწეული შედეგი                          | გაუმჯობესებული სარიტუალო მომსახურება და სანიტარული პირობები.   |

| პროგრამის დასახელება                  | კოდი   | სერვისების ცენტრის ხელშეწყობა | დაფინანსება ათას ლარში |
|---------------------------------------|--|-------------------------------|------------------------|
|                                       | 02 07  |                               | 517,7                  |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრი“.  |                               |                        |
| პროგრამის აღწერა                      | <p>ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრმა“ განხორციელა გარე განათების მოვლა-პატრონობის, საბინაო ფონდის მოვლა-პატრონობის, ქალაქის ქუჩების დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების გატანის, დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირების, სკვერებისა და პარკების მოვლა-პატრონობის და გამწვანების, უმეტესადაც დარჩენილი ცხოველების კონტროლის, ქუჩების სარემონტო, სანიაღვრე არხებისა და სატუმბო სადგურების მოვლა-პატრონობის, საკრებულოსა და მერიის ადმინისტრაციული შენობის (მათ შორის მერიის სტრუქტურული ერთეულების) მოვლა-პატრონობის, მინი სპორტული მოედნების მოვლა-პატრონობის სამუშაოები და სხვა.</p> <p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდა საწარმოს მართვის სწორი მენეჯმენტი, შესასრულებელი სამუშაოების ანალიზი და შესაბამისი გაანგარიშებების მომზადება ბიუჯეტის სწორად დაგეგმვის მიზნით, სამტატო განრიგის დამუშავება, განყოფილებების და მომუშავე პერსონალის ფუნქცია-მოვალეობების და საწარმოს ორგანიზაციული სტრუქტურის დამუშავება, საჭირო შესყიდვების წარმოება, კონტროლი დაგეგმილის მიხედვით მუშაობის წარმართვაზე, განყოფილებების მიხედვით ყოველთვიური შესრულებების წარმოება, ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება და სხვა.</p> <p>ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრის“ ადმინისტრაციული ხარჯები დაფინანსდა 517,7 ათ. ლარის ოდენობით.</p> |                               |                        |

|                 |   |
|-----------------|---|
| მიღწეული შედეგი | გენდერულად მგრძობიარე პოლიტიკის გატარებით საწარმოს ეფექტიანი და ხარისხიანი მუშაობის უზრუნველყოფა, სწორი დაგეგმვა და კონტროლი მის შესრულებაზე. |
|-----------------|---|

| პროგრამის დასახელება                  | კოდი  | სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება | დაფინანსება ათას ლარში |
|---------------------------------------|---|--|------------------------|
|                                       | 02 08   |  | 303,6                  |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახური.   |  |                        |
| პროგრამის აღწერა                      | პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ტენდერში გამარჯვებული კომპანიის მიერ, შესრულებული სამუშაოების (ფორმა №2) ინსპექტირება. |  |                        |
| მიღწეული შედეგი                       | სამუშაო პროცესის მაღალ დონეზე წარმართვა, გაწეული ხარჯების ოპტიმიზაცია.  |  |                        |

| პროგრამის დასახელება                  | კოდი  | ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობის პროექტირება | დაფინანსება ათას ლარში |
|---------------------------------------|---|---|------------------------|
|                                       | 02 09   |   | 0,0                    |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახური.   |   |                        |
| პროგრამის აღწერა                      | პროგრამის ფარგლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა, რომელიც გადატანილ იქნა შესაბამის პროექტებში. შესყიდულ იქნა 41 საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების პროცესში გათვალისწინებულ იქნა გენდერული ასპექტები.<br>პროგრამის თანხების განკარგვა განხორციელდა რეგიონალურ დონეზე ჩატარებული კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით. |   |                        |
| მიღწეული შედეგი                       | ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დროული და კვალიფიციური მომზადება.   |   |                        |

| პროგრამის დასახელება                  | კოდი   | საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსება | დაფინანსება ათას ლარში |
|---------------------------------------|--|---|------------------------|
|                                       | 02 10  |   | 0,0                    |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახური.  |   |                        |
| პროგრამის აღწერა                      | პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულ იქნა საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსება 350,0 ათ. ლარის ოდენობით, რომელიც გადატანილ იქნა შესაბამის პროექტებში. პროექტების განხორციელების პროცესში გათვალისწინებულ იქნა გენდერული ასპექტები. |   |                        |
| მიღწეული შედეგი                       | მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი, გენდერულად მგრძობიარე ინფრასტრუქტურის მოწყობა.   |   |                        |

| პროგრამის დასახელება | კოდი  | ცენტრალური პარკის ხელშეწყობა | დაფინანსება ათას ლარში |
|----------------------|-------|------------------------------|------------------------|
|                      | 02 13 |                              | 1 208,2                |

|                                       |   |
|---------------------------------------|---|
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ა(ა)იპ „ქალაქის-ფოთის ცენტრალური პარკი“.  |
| პროგრამის აღწერა                      | <p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ცენტრალური პარკის ტერიტორიაზე მდებარე ინფრასტრუქტურის, არსებული მწვანე საფარის, მწვანე ნარგავების, ყვავილების და ა.შ. მოვლა-პატრონობის, განახლებისა და აღდგენის, პარკის ტერიტორიაზე სანიტარული ნორმების დაცვის სამუშაოების უზრუნველყოფა, რამაც უზრუნველყო შესაბამისი გარემოს შექმნა ნორმალური დასვენებისათვის.</p> <p>2024 წელს დაირგო 45 000 ძირი დეკორატიული ყვავილი და 200-მდე სხვადასხვა სახის ნარგავი, გადაიბელა, შეისხეპა და კირით შეიღება 2 200 ძირი ხე-მცენარე, გაითიბა მწვანე საფარი 24 000 მ<sup>2</sup>.</p> <p>პარკში მოეწყო ულამაზესი დასასვენებელი სივრცე. სივრცე განათდა დეკორატიული ნათებით, განთავსდა ხის საქანელა, მოეწყო ბუნგალო, რომელმაც ბევრად უფრო კომფორტული გახადა პარკში დროის გატარება, ბავშვების, ახალგაზრდების, მოსახლეობის და სტუმრებისთვის.</p> <p>პარკში განახლდა არსებული მინი ხიდი, სკამები, საბავშვო ხის სახლები და საქანელები, დაემატა საფეხმავლო ბილიკები, ნიჟარის მიმდებარე ტერიტორიაზე დაიყარა დეკორატიული ნამცვეები სივრცის გასალამაზებლად. ახალ წელს დაიდგა და დამონტაჟდა ახალი საახალაწლო განათებები.</p> <p>პარკში მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა გამწვანების, სარემონტო და მოვლა-პატრონობის სამუშაოები.</p> <p>პარკში ჩატარტდა 15-მდე კულტურული ღონისძიება, ადგილობრივი და მოწვეული შემსრულებლების მონაწილეობით.</p> |
| მიღწეული შედეგი                       | კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურა, გამწვანებული და ეკოლოგიურად სუფთა გარემო. მასობრივი ღონისძიებების ორგანიზება. ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების პოპულარიზაცია და მოსახლეობის კულტურულ და საგანმანათლებლო ცხოვრებაში ჩართულობის ზრდა.  |

| პროგრამის დასახელება                  | კოდი  | მუნიციპალური ინსპექციის ხელშეწყობა | დაფინანსება ათას ლარში |
|---------------------------------------|---|------------------------------------|------------------------|
|                                       | 02 14   |                                    | 568,4                  |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალური ინსპექცია“.  |                                    |                        |
| პროგრამის აღწერა                      | <p>პროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალური ინსპექცია“-მ განახორციელა:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის დადგენილი წესების (საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსით გათვალისწინებული) დარღვევის 20 ფაქტის გამოვლენა, რომელზეც დაიწყო სამართალწარმოება. აქედან გამოვლენილ 14 სამართალდარღვევაზე დარღვევის გამოსწორების მოტივით შეწყდა საქმისწარმოება, 6 სამართალდარღვევის საქმეზე გამოიცა დადგენილება დამრღვევის დაჯარიმებისა და უნებართვო შენობა-ნაგებობის დემონტაჟის შესახებ. გადახდილი ჯარიმების ოდენობა შეადგენს 40 000 ლარს.</li> <li>➤ გამოვლინდა საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსით“ გათვალისწინებული გარემოს დანაგვიანების 4 ფაქტი. დამრღვევებს დაეკისრათ შესაბამისი ადმინისტრაციული სახდელი - ჯარიმა, ჯამში 6 000 ლარის ოდენობით, რომელიც სრულადაა გადახდილი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.</li> <li>➤ გამოვლინდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ ადმინისტრაციული დარღვევის 47 ფაქტი, საიდანაც 7 დარღვევაზე ადმინისტრაციული სახდელის სახით გამოყენებულ იქნა გაფრთხილება, ხოლო 40 დამრღვევს შეეფარდა ჯარიმა, ჯამში 31 300 ლარის ოდენობით. გადახდილი ჯარიმების ოდენობა შეადგენს 29 300 ლარს.</li> </ul> |                                    |                        |


|                 |   |
|-----------------|---|
|                 | <p>➤ გარდა ზემოაღნიშნულისა, მუნიციპალური ინსპექციის მიერ სამართალდარღვევათა თავიდან აცილების უზრუნველყოფის მიზნით გატარდა სხვადასხვა სახის ღონისძიებები. კერძოდ, ფიზიკური და იურიდიული პირის მიერ მოწესრიგდა შენობა-ნაგებობის იერსახე, აღკვეთილი იქნა გარე-ვაჭრობის ფაქტები, სხვადასხვა ლოკაციები განთავისუფლდა საზოგადოებრივი სივრცის თვითნებურად დაკავებისგან, ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ გაიწმინდა და მოწესრიგდა არაერთი ტერიტორია, აღდგენილ იქნა სარემონტო სამუშაოების შედეგად დაზიანებული გზის საფარი.</p> |
| მიღწეული შედეგი | <p>ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალური ინსპექციის“ უფლებამოსილებას მიკუთვნებულ სფეროებში დადგენილი წესების დაცვაზე ზედამხედველობა, დარღვევათა თავიდან ასაცილებლად პრევენციულ ღონისძიებათა განხორციელება. ქალაქის ტერიტორიაზე მშენებლობის, ქალაქის იერსახის, რეკლამის, აზრის, გარე ვაჭრობის, ნარჩენებით ქალაქის დანაგვიანების, კომპეტენციის ფარგლებში სანიტარული კანონმდებლობის შესრულებაზე კონტროლის განხორციელება.</p>  |

#### 14. დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00)

ქალაქის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს საიმედო სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფა. ამ მიზნით განხორციელდა შესაბამისი ღონისძიებები. კერძოდ, ქალაქის ქუჩების ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა, გარე ქსელის ბუნკერების საყოფაცხოვრებო ნარჩენებისაგან გათავისუფლება, დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირების და ნარჩენების მართვის სხვა ღონისძიებები.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა მრავალწლიანი მარადმწვანე მცენარეების, ბუჩქების, ერთწლიანი ყვავილების და სხვა ნარგავების დარგვა, მათი მოვლა, ახალი გამწვანების ზონების შექმნა, სკვერებისა და ქალაქის ქუჩების მწვანე საფარის გათიბვის სამუშაოები.

პროგრამის ფარგლებში გატარდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უმეტესაწარმოოდ დარჩენილი ცხოველების იზოლაციის ღონისძიებები.



| პროგრამული კოდი | დასახელება                   | ათას ლარში      |                 |                |
|-----------------|------------------------------|-----------------|-----------------|----------------|
|                 |                              | 2024 წლის გეგმა | 2024 წლის ფაქტი | შესრულება %-ში |
| 03 00           | დასუფთავება და გარემოს დაცვა | 3 841,1         | 3 787,7         | 98,6           |

| პროგრამული კოდი | დასახელება                                  | 2024 წლის გეგმა | 2024 წლის ფაქტი | შესრულება %-ში |
|-----------------|---|-----------------|-----------------|----------------|
| 03 01           | დასუფთავება და ნარჩენების გატანა            | 2 362,6         | 2 343,8         | 99,2           |
| 03 02           | დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირება     | 164,5           | 162,3           | 98,7           |
| 03 03           | გამწვანების სამუშაოები                      | 300,0           | 300,0           | 100,0          |
| 03 04           | გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა   | 704,2           | 692,7           | 98,4           |
| 03 05           | უმეტავალყურედ დარჩენილი ცხოველების იზოლაცია | 309,8           | 288,9           | 93,3           |

| პროგრამის დასახელება                  | კოდი   | დასუფთავება და ნარჩენების გატანა | დაფინანსება ათას ლარში |
|---------------------------------------|--|----------------------------------|------------------------|
|                                       | 03 01  |                                  | 2 343,8                |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრი“.  |                                  |                        |
| პროგრამის აღწერა                      | <p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ქალაქის ტერიტორიაზე არსებული ქუჩების დაგვა (374 328 მ<sup>2</sup> ფართი), ასევე სეზონურად მალთაყვის ზღვის სანაპირო ზოლთან მისასვლელი გზის და სანაპიროს გაწმენდა, დაგვა-დასუფთავება (50 147 მ<sup>2</sup> ფართი), ნაგავის შეგროვება და გატანა დამტკიცებული გრაფიკის შესაბამისად.</p> <p>2024 წლის მანძილზე ქალაქის ტერიტორიიდან გატანილი ნარჩენების რაოდენობამ 20 075 ტონა შეადგინა (დღეში 55 ტონა). აღნიშნული სამუშაოების შესრულებას მოემსახურა ქალაქის სხვადასხვა ლოკაციაზე განთავსებული 791 სანაგვე კონტეინერი, სხვადასხვა მოცულობის და მარკის 8 ერთეული სპეციალიზებული და 7 ერთეული სატვირთო ბორტიანი სატრანსპორტო საშუალება. გარკვეული უბნებიდან, რამოდენიმე ქუჩაზე (სადაც არაა განთავსებული სანაგვე კონტეინერები), ნაგვის გატანა მოხდა კარდაკარ შემოვლის პრინციპით, ყოველ მეორე დღეს ერთი და იგივე ქუჩიდან.</p> <p>განხორციელდა როგორც საყოფაცხოვრებო, ასევე მყარი ნარჩენების (სამშენებლო ნანგრევები და სხვა) გატანა. სერვისების ცენტრმა განახორციელა 82 ცალი დაზიანებული სანაგვე კონტეინერების მიმდინარე შეკეთების სამუშაოები. პერიოდულად მოხდა სანაგვე კონტეინერების საქმიან ეზოში გადატანა, გარეცხვა და კვლავ ლოკაციის ადგილებზე დაბრუნება.</p> <p>კერძო კომპანიებიდან შემოსული განაცხადების საფუძველზე, განხორციელდა დამატებით დადგმული სანაგვე კონტეინერების მომსახურება. ამ მომსახურებიდან მიღებული შემოსავლების რაოდენობამ, წლის განმავლობაში, შეადგინა 98 463 ლარი.</p> |                                  |                        |
| მიღწეული შედეგი                       | მთელი წლის განმავლობაში ქუჩების დაგვა-დასუფთავებისა და ნარჩენების გატანის მუნიციპალური სერვისის ხარისხიანი ფუნქციონირება.  |                                  |                        |

| პროგრამის დასახელება                  | კოდი   | დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირება | დაფინანსება ათას ლარში |
|---------------------------------------|--|---|------------------------|
|                                       | 03 02  |   | 162,3                  |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრი“.  |   |                        |
| პროგრამის აღწერა                      | <p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ქალაქის ტერიტორიაზე ნარჩენების წარმომქმნელი პირებისაგან (ფიზიკური პირი, ინდივიდუალური მეწარმე, დაწესებულება, ორგანიზაცია, იურიდიული პირი) დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის ამოღება, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებებით განსაზღვრული ნორმა-</p> |   |                        |

|                 |   |
|-----------------|---|
|                 | <p>ლიმიტების შესაბამისად.</p> <p>2024 წლის ბოლოსათვის, ორგანიზაციებთან გაფორმებული მოქმედი ხელშეკრულებების რაოდენობა შეადგენდა 848-ს, მოქმედი აბონენტების რაოდენობა - 16 470-ს, სულადობა - 32 710-ს.</p> <p>2024 წლის განმავლობაში დასუფთავების მოსაკრებლიდან ამოღებულმა თანხამ 743 144 ლარი შეადგინა. მათ შორის, ფიზიკური პირებიდან 85 144 ლარი, იურიდიული პირებიდან 658 000 ლარი.</p> |
| მიღწეული შედეგი | <p>სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში, მთელი წლის განმავლობაში ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის გადახდის აუცილებლობაზე ცნობადობის ამალგების მიზნით ჩატარებული ღონისძიებების შედეგად, ყოველთვიურად ამოღებული თანხების მოცულობის ზრდა.</p>   |

| პროგრამის დასახელება                  | კოდი  | გამწვანების სამუშაოები   | დაფინანსება<br>ათას ლარში |
|---------------------------------------|-------|--|---------------------------|
|                                       | 03 03 |  | 300,0                     |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური |       | ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახური.  |                           |
| პროგრამის აღწერა                      |       | <p>ქალაქის განვითარებისა და ეკოსისტემის გაუმჯობესებისათვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გამწვანების სამუშაოებს. შესაბამისად, პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა მალთაყვის სანაპირო ზოლზე და აღმაშენებლის ქუჩაზე გამწვანების სამუშაოები.</p> <p>რეკრეაციული ინფრასტრუქტურის განვითარებით, მნიშვნელოვანად გაუმჯობესდა ქალაქის იერსახე, მცენარეთა ფიტო-სანიტარიული მდგომარეობა, ქალაქის მოსახლეობის დასვენების პირობები.</p> |                           |
| მოსალოდნელი შედეგი                    |       | გამწვანებული და ეკოლოგიურად სუფთა გარემო.  |                           |

| პროგრამის დასახელება                  | კოდი  | გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა   | დაფინანსება<br>ათას ლარში |
|---------------------------------------|-------|---|---------------------------|
|                                       | 03 04 |   | 692,7                     |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური |       | ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრი“.   |                           |
| პროგრამის აღწერა                      |       | <p>პროგრამის შესაბამისად განხორციელდა ახალი გამწვანების ზონების შექმნა. მავნებლების მოსპობის მიზნით, შხამქიმიკატებით შეწამვლა, სისტემატიური მორწყვა და ვეგეტაციამდე სასუქის შეტანა. დაბალი ნარგავების და ბუჩქების გაკრეჭვა-ფორმირება, ზრდასრული ხეების შესხეპვა-გადაბეღვა, გადაბერებული ზეხმელი ხეების მოჭრა, ხეების შეთეთრება კირით, სკვერების დაგვა-დასუფთავება, სკვერებისა და ქალაქის ქუჩების მწვანე საფარის გათიბვის სამუშაოები.</p> <p>გათიბა 3 358 916 მ<sup>2</sup> მწვანე საფარი (გათიბვის სამუშაოები განხორციელდა მრავალჯერადად), მოიჭრა 45 ძირი ხე, გადაიბეღა, შეისხეპა და გაისხლა 30 ძირი ხე, დამუშავდა და გატანილ იქნა 66 ძირი ქარისგან წაქცეული და დაზიანებული ხე, ფორმირებულ იქნა 2 277 ხე-მცენარე (ხე, ბუჩქი, პალმა), კირით შეთეთრებულ იქნა 5 304 ძირი ხე, ტყე-პარკში განხორციელდა 63 550 მ<sup>2</sup> ფართის გაკაფვის სამუშაოები, შეკეთდა და შეიღება 300 ცალი მოსასვენებელი სკამი.</p> <p>სამსახურის მიერ კერძო სექტორში გაწეული მომსახურებიდან (კერძო ტერიტორიების მფლობელთა მიერ შემოტანილი განაცხადების საფუძველზე გათიბვის სამუშაოების წარმოება) შემოსული თანხის რაოდენობამ შეადგინა 1 340 ლარი.</p> |                           |


|                 |   |
|-----------------|---|
| მიღწეული შედეგი | გამწვანებული და ეკოლოგიურად სუფთა გარემო. |
|-----------------|---|

|                                       |  |  |                        |
|---------------------------------------|--|--|------------------------|
| პროგრამის დასახელება                  | კოდი   | უმეთვალყურედ დარჩენილი ცხოველების იზოლაცია | დაფინანსება ათას ლარში |
|                                       | 03 05  |  | 288,9                  |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრი“.  |  |                        |
| პროგრამის აღწერა                      | <p>ქალაქის ტერიტორიაზე მაწანწალა ძაღლების არსებობა სხვადასხვა ვირუსული დაავადების და ცოფის გავრცელების ძირითად საფრთხეს წარმოადგენს. მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის მიზნით, განხორციელდა 235 ერთეული მიუსაფარი ძაღლის დროებითი იზოლაცია, კონტრაქტორის მეშვეობით. ჩატარდა ძაღლების იდენტიფიკაცია საჭდით, დეჰელმენტიზაცია, ვაქცინაცია, სტერილიზაცია/კასტრაცია და კვლავ პირვანდელ ლოკაციაზე დაბრუნება.</p> <p>ასევე, მოხდა ქალაქის ცენტრალურ ადგილებში მოხეტიალე, უმეთვალყურედ დარჩენილი პირუტყვის იზოლაცია და სპეცსადგომზე გადაყვანა. 2024 წლის განმავლობაში დაფიქსირდა პირუტყვის ხეტიალის გამოვლენის 53 შემთხვევა, მეპატრონეებთან გაფორმებულ იქნა 53 სამართალდარღვევის ოქმი (78 სულ პირუტყვზე). ჯარიმის სახით ხაზინაში შეტანილ იქნა 2 800 ლარი, საწარმოს ანგარიშზე შეტანილ იქნა პირუტყვის გადაყვანის და მოვლა-შენახვის საფასური, ჯამში 3 060 ლარი.</p> |  |                        |
| მიღწეული შედეგი                       | <p>მაწანწალა ძაღლების მხრიდან შესაძლო საფრთხეების თავიდან აცილება. ქალაქის ქუჩებში უმეთვალყურედ დარჩენილი ცხოველების ხეტიალის შემთხვევების აღმოფხვრა. ქალაქის დანაგვიანებისა და ნარგავების დაზიანების თავიდან აცილება.</p>   |  |                        |

**15. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)**

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით, დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას, რაც მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებას განეკუთვნება და შესაბამისად, ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში განხორციელდა საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა.

2024 წელს ასევე დაფინანსდა საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის ხარჯი და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია.



| პროგრამული კოდი | დასახელება   | 2024 წლის გეგმა | 2024 წლის ფაქტი | შესრულება %-ში |
|-----------------|--|-----------------|-----------------|----------------|
| <b>04 00</b>    | <b>განათლება</b>   | <b>5 498,0</b>  | <b>5 419,2</b>  | <b>98,6</b>    |
| 04 01           | სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება                                       | 4 851,7         | 4 837,2         | 99,7           |
| 04 02           | სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია  | 3,5             | 2,1             | 60,0           |
| 04 04           | საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა                              | 41,5            | 40,1            | 96,6           |
| 04 06           | სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ხელშეწყობა | 601,3           | 539,8           | 89,8           |

| პროგრამის დასახელება                  | კოდი   | სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება | დაფინანსება ათას ლარში |
|---------------------------------------|--|--|------------------------|
|                                       | 04 01  |  | 4 837,2                |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ა(ა)იპ "თვითმმართველ ქალაქ ფოთის სკოლამდელ სააღმზრდელო გაერთიანება".   |  |                        |
| პროგრამის აღწერა                      | <p>სკოლამდელი აღზრდის ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიური) უფლებამოსილებას წარმოადგენს. აკრძალულია მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი მომსახურებისა და კვებითი მომსახურებისათვის გადასახადის, ტარიფის ან სხვა საფასურის შემოღება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება.</p> <p>ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 15 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 1400-მდე ბავშვი. ბაგა-ბალებში ჯამში დასაქმებულია 389 თანამშრომელი, მათ შორის 162 აღმზრდელი.</p> <p>სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირების პროგრამის მიზანია: ბაგა-ბალებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, ინკლუზიური სწავლების დანერგვით თანაბარი ხელმისაწვდომობის შექმნა, სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვა, ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება და მოვლა-შენახვა, დასაქმებული პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება.</p> <p>ა(ა)იპ "თვითმმართველ ქალაქ ფოთის სკოლამდელ სააღმზრდელო გაერთიანებაში", ბავშვთა კვებისათვის, 2024 წელს დადგენილი იყო ერთ ბავშვზე 4,3 ლარი დღეში, რომელიც განისაზღვრა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თვითმმართველი ქალაქ ფოთის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების“ დირექტორის მიერ დამტკიცებული მენიუთი.</p> <p>2024 წელს გაიხარჯა კვების პროდუქტები, თანხით 662 426 ლარი. მათ შორის დარიგდა საახალწლო ტკბილეული 1 320 აღსაზრდელზე, თანხით 26 674 ლარი.</p> |  |                        |
| მიღწეული შედეგი                       | სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შესაბამისი პირობებით უზრუნველყოფა; სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა. კვების რაციონის ნორმების დაცვა; სკოლამდელი ასაკის ბავშვთა სკოლისათვის მზაობა.  |  |                        |



|   |   |   |                           |
|---|---|---|---------------------------|
| პროგრამის დასახელება                        | კოდი  | სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია | დაფინანსება<br>ათას ლარში |
|   | 04 02   |   | 2,1                       |
| პროგრამის<br>განმახორციელებელი<br>სამსახური | ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახური.   |   |                           |
| პროგრამის აღწერა                            | 2024 წელს აღნიშნული პროგრამით დაფინანსდა №17 სკოლამდელი საადმინისტრაციო დაწესებულების ღობის მოწყობის თანხა. |   |                           |
| მიღწეული შედეგი                             | მოწესრიგებული და გამართული ინფრასტრუქტურა.  |   |                           |

**განმარტება:** ქვეპროგრამის „სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია“ (პროგრამული კოდი 04 02) შესრულების დაბალი პროცენტული მაჩვენებელი (60,0%) გამოწვეულია სამუშაო პროცესში წარმოქმნილი ეკონომიით.

|   |  |  |                           |
|---|--|--|---------------------------|
| პროგრამის დასახელება                        | კოდი   | საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით<br>უზრუნველყოფა | დაფინანსება<br>ათას ლარში |
|   | 04 04  |  | 40,1                      |
| პროგრამის<br>განმახორციელებელი<br>სამსახური | ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახური.  |  |                           |
| პროგრამის აღწერა                            | საჯარო სკოლების მოსწავლეთა მომსახურება სატრანსპორტო საშუალებებით უზრუნველყოფს მოსწავლეთა დროულ გადაადგილებას საცხოვრებელი ადგილიდან სკოლამდე. აღნიშნული მომსახურება ხელს უწყობს მოსწავლეთა ოჯახების სოციალური პირობების გაუმჯობესებას.<br>2024 წელს მომსახურება გაეწია სსიპ №4 და აფხაზეთის №21 საჯარო სკოლის მოსწავლეებს.<br>აღნიშნული პროგრამით ისარგებლა 63 იძულებით გადაადგილებულმა მოსწავლემ. |  |                           |
| მიღწეული შედეგი                             | მოსწავლეთა შესაბამისი პირობებით უზრუნველყოფა;<br>გაუმჯობესებული სასწავლო პროცესი.  |  |                           |


|   |  |   |                           |
|---|--|---|---------------------------|
| პროგრამის დასახელება                        | კოდი   | სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის<br>სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ხელშეწყობა | დაფინანსება<br>ათას ლარში |
|   | 04 06  |   | 539,8                     |
| პროგრამის<br>განმახორციელებელი<br>სამსახური | ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი;<br>ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია.  |   |                           |
| პროგრამის აღწერა                            | ქალაქის ეკონომიკური და სოციალური პროგრესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რესურსი ადამიანური კაპიტალია. განათლება, ქალაქის განვითარებისთვის გამორჩეულად პრიორიტეტული, გრძელვადიან შედეგზე გათვლილი სფეროა. შესაბამისად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტმა, პროგრამის ფარგლებში, უზრუნველყო ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ხელშეწყობა, გრანტის სახით.<br><br><b>გრანტის მიზანია:</b><br>1. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სტუდენტებისათვის, უნივერსიტეტში აკადემიურ განვითარებასთან ერთად, |   |                           |

|                        |  |
|------------------------|--|
|                        | <p>საზღვარგარეთ მოქმედ უმაღლეს სასწავლებლებში არსებული ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება, პროფესიული უნარების გაძლიერება, სტუდენტის ერთი სემესტრით გაცვლის თაობაზე, შემდგომი კრედიტების აღიარების და საქართველოში სწავლის გაგრძელების პირობით.</p> <p>საგრანტო კონკურსის ფარგლებში, უნივერსიტეტმა გაცვლითი პროგრამის ფარგლებში შეარჩია ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის, ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის 2 სტუდენტი, რომლებიც 1 სემესტრის განმავლობაში იმყოფებოდნენ ნიკოლა ვაპტსაროვის სახელობის სამხედრო-საზღვაო აკადემიაში (ბულგარეთი, ვარნა).</p> <p><b>2. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სტუდენტების დაფინანსება, სწავლის საფასურის 50%-ის ფარგლებში.</b></p> <p>სწავლის საფასური 50%-ის ფარგლებში დაუფინანსდა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის 8 სტუდენტს.</p> <p>პროგრამის ფარგლებში მოეწყო საზღვაო აკადემიის მიმდებარე ტერიტორიის ინფრასტრუქტურა და და დაფინანსდა საზღვაო აკადემიის კომუნალური ხარჯები.</p> |
| <p>მოდწეული შედეგი</p> | <p>სწავლაზე ორიენტირებული, მოტივირებული და წარმატებული ფოთელი სტუდენტების სწავლის ხელმისაწვდომობის გაზრდა, მოტივაციის ამაღლება, სტიმულირება, აკადემიური და პროფესიული წინსვლა - განვითარების ხელშეწყობა/მხარდაჭერა.</p>  |

**16. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)**

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად, ერთ-ერთი პრიორიტეტია კულტურული ტრადიციების დაცვა და ამ ტრადიციების ღირსეული გაგრძელება, ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, განხორციელდა სპორტული დაწესებულებების, სხვადასხვა სახელოვნებო და საგანმანათლებლო ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა.

2024 წელს ასევე, დაგეგმილი იყო მინი სპორტული მოედნების კაპ. შეკეთების სამუშაოები, მინი სპორტული მოედნების მოვლა-პატრონობის სამუშაოების განხორციელება და სხვა.



| პროგრამული კოდი | დასახელება   | 2024 წლის გეგმა | 2024 წლის ფაქტი | შესრულება %-ში |
|-----------------|--|-----------------|-----------------|----------------|
| <b>05 00</b>    | <b>კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი</b>                          | <b>10 605,8</b> | <b>10 099,3</b> | <b>95,2</b>    |
| <b>05 01</b>    | <b>სპორტის სფეროს განვითარება</b>  | <b>7 224,5</b>  | <b>6 768,2</b>  | <b>93,7</b>    |
| 05 01 01        | სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა                                      | 1 123,2         | 1 122,1         | 99,9           |
| 05 01 01 01     | რაგბის კლუბის „ფოთი“ ხელშეწყობა  | 953,8           | 953,5           | 100,0          |
| 05 01 01 02     | ხელბურთის კლუბის "ოქროს ვერძი" ხელშეწყობა                                | 169,4           | 168,6           | 99,5           |
| 05 01 02        | ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები                                    | 474,8           | 391,7           | 82,5           |
| 05 01 03        | სპორტისა და ტურიზმის ცენტრის ხელშეწყობა                                  | 3 430,2         | 3 428,9         | 100,0          |
| 05 01 05        | კაპიტალური დაბანდებები სპორტის სფეროში                                   | 462,3           | 121,3           | 26,2           |
| 05 01 07        | მინი სპორტული მოედნების მოვლა-პატრონობა                                  | 101,8           | 99,0            | 97,2           |
| 05 01 09        | მრავალფუნქციური საცურაო კომპლექსის ხელშეწყობა                            | 1 632,2         | 1 605,2         | 98,3           |
| <b>05 02</b>    | <b>კულტურის სფეროს განვითარება</b>                                       | <b>3 309,2</b>  | <b>3 267,2</b>  | <b>98,7</b>    |
| 05 02 01        | კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა                               | 3 085,5         | 3 064,8         | 99,3           |
| 05 02 01 01     | აკაკი ჩხაიძის სახელობის სახელოვნებო სამხატვრო სასწავლებლის ხელშეწყობა    | 414,5           | 414,4           | 100,0          |
| 05 02 01 02     | არჩილ ხორავას სახელობის სკოლისგარეშე სახელოვნებო სასწავლებლის ხელშეწყობა | 574,6           | 574,3           | 99,9           |
| 05 02 01 03     | მოსწავლე-ახალგაზრდობის შემოქმედების ცენტრის ხელშეწყობა                   | 692,0           | 683,4           | 98,8           |
| 05 02 01 04     | ფოლკლორის ცენტრის ხელშეწყობა   | 764,8           | 761,8           | 99,6           |
| 05 02 01 05     | საგამოფენო დარბაზის ხელშეწყობა   | 240,8           | 234,6           | 97,4           |
| 05 02 01 06     | საბიბლიოთეკო გაერთიანების ხელშეწყობა                                     | 363,8           | 361,3           | 99,3           |
| 05 02 01 07     | რეგიონალური თეატრების საერთაშორისო ფესტივალის მხარდაჭერა                 | 35,0            | 35,0            | 100,0          |
| 05 02 02        | კულტურული ღონისძიებები   | 216,7           | 202,4           | 93,4           |
| 05 02 03        | კაპიტალური დაბანდებები კულტურის სფეროში                                  | 7,0             |                 |                |
| <b>05 03</b>    | <b>რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა</b>                               | <b>72,1</b>     | <b>63,9</b>     | <b>88,6</b>    |

| პროგრამის დასახელება                  | კოდი  | სპორტის სფეროს განვითარება   | დაფინანსება ათას ლარში |
|---------------------------------------|-------|--|------------------------|
|                                       | 05 01 |  | 6 768,2                |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური |       | ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სპორტის სამსახური; ა(ა)იპ რაგბის კლუბი „ფოთი“; ა(ა)იპ "თვითმმართველი ქალაქის-ფოთის ხელბურთის კლუბი ოქროს ვერძი"; ა(ა)იპ "ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სპორტისა და ტურიზმის ცენტრი"; ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მრავალფუნქციური საცურაო კომპლექსი“; ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახური; ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრი“. |                        |
| პროგრამის აღწერა                      |       | მოსახლეობის ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებისათვის, პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სპორტული დაწესებულებების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონოდათ შესაძლებლობა სპორტსმენებისათვის, სავარჯიშოდ, შესაბამისი პირობების შექმნისა და ნიჭიერ სპორტსმენთა წახალისებისათვის.<br>2024 წელს განხორციელდა მინი სპორტული მოედნების კაპ. შეკეთების   |                        |

|                 |  |
|-----------------|--|
|                 | სამუშაოები, მინი სპორტული მოედნების მოვლა-პატრონობის სამუშაოები და სხვა.   |
| მიღწეული შედეგი | მეტი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა სხვადასხვა სპორტის სახეობების მიმართულებით. გენდერული ასპექტების გათვალისწინებით მოწესრიგებული სპორტული ინფრასტრუქტურა. |

|  |   |                                 |                        |
|--|---|---------------------------------|------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება                  | კოდი  | რაგბის კლუბის „ფოთი“ ხელშეწყობა | დაფინანსება ათას ლარში |
|  | 05 01 01 01   |                                 | 953,5                  |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ა(ა)იპ რაგბის კლუბი "ფოთი".   |                                 |                        |
| ქვეპროგრამის აღწერა                      | <p>ქვეპროგრამის მიზანი იყო რაგბით დაინტერესებული მოსახლეობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, რაგბის განვითარება, მომავალი თაობის ჩაბმა რაგბის სექციაში, მოზარდთა ფიზიკური და გონებრივი განვითარება და ჯანსაღი ცხოვრების წესის უნარ-ჩვევების გამომუშავება.</p> <p>რაგბის სკოლის 10 მწვრთნელი (ქალი -1, კაცი - 9) მოემსახურა I ლიგას, „ბ“ ლიგას და 2008-2009, 2010-2011, 2012-2013, 2014-2015, 2016-2017 წლებში დაბადებულთა საფესტივალო ასაკის 167 სპორტსმენს ( გოგო - 2, ბიჭი - 165), რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ჩემპიონატის კალენდარულ მატჩებში და რაგბის ფესტივალზე.</p> <p>„I“ ლიგა ასპარეზობს საქართველოს ჩემპიონატში, სადაც მონაწილეობას იღებს 10 გუნდი და გამარჯვებული გადადის „კროკოზეთ დიდი 10“ ლიგაში. ამ დროისთვის, გუნდმა დაამთავრა 1 წრე. მე-2 წრის თამაშები იწყება თებერვლის თვიდან. ჩემპიონატის ჯგუფური თამაშები მთავრდება აპრილის თვეში.</p> <p>„ბ“ ლიგის გუნდმა მონაწილეობა მიიღო საქართველოს ჩემპიონატში, სადაც გაყოფილი იყო დასავლეთ-აღმოსავლეთის გუნდები. „ბ“ ლიგამ ჯგუფში მოიპოვა I ადგილი და ასპარეზობას განაგრძობს ოქროს ლიგის ჩემპიონობისათვის. 2024 წელს „ბ“ ლიგამ გამართა 34 თამაში, სადაც 25 თამაში გამარჯვებით, 1 ფრედ და 8 დამარცხებით დაამთავრა.</p> <p>გუნდმა 2023-2024 წ.წ. სეზონში, U15 საქართველოს საფესტივალო, დასავლეთ ზონაში, 18 მატჩიდან 16 გამარჯვებით დაასრულა. 2024 წლის აპრილში მიიღეს ყველაზე მაშტაბურ ევროპის ახალგაზრდულ ფესტივალში მონაწილეობა ლისაბონში. ჯგუფში დაიკავეს I ადგილი.</p> <p>გუნდი, 7-კაცა რაგბში, 4 მოგებით და 1 წაგებით, მეორე ადგილზე გავიდა.</p> <p>გუნდიდან სხვადასხვა ასაკობრივი ნაკრების შერჩევაზე გამოიძახეს 10 მორაგბე. 2024 წლის აგვისტოს თვეში, გუნდიდან 2006-2007 წლებში დაბადებული 15 მორაგბე გაშვებულ იქნა თბილისის ხვამლის, თბილისის ლელოს და ქუთაისის აიას გუნდებში სათამაშოდ.</p> |                                 |                        |
| მიღწეული შედეგი                          | წარმატებული სპორტსმენები და სპორტული შედეგები.  |                                 |                        |

|  |   |   |                        |
|--|---|---|------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება                  | კოდი  | ხელბურთის კლუბის „ოქროს ვერძი“ ხელშეწყობა | დაფინანსება ათას ლარში |
|  | 05 01 01 02   |   | 168,6                  |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ა(ა)იპ "თვითმმართველი ქალაქის-ფოთის ხელბურთის კლუბი ოქროს ვერძი". |   |                        |

|                     |   |
|---------------------|---|
| ქვეპროგრამის აღწერა | <p>ხელბურთის სექცია უზრუნველყოფს სწავლებას ხელბურთის მიმართულებით, სპორტულ ობიექტზე 5 მწვრთნელის (ქალი - 2, კაცი - 3) მეშვეობით, რომლებიც ემსახურებიან სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიებს, სულ 103 ბენეფიციარს (გოგო -69, ბიჭი34). კლუბის სპორტსმენები მონაწილეობას იღებდნენ თითქმის ყველა ასაკობრივ კატეგორიაში საქართველოს ჩემპიონატში.</p> <p>საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატებში, სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში, მონაწილეობა მიიღო 5-მა გუნდმა, სადაც დადეს შემდეგი შედეგები:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. გოგონები 14 წლის - ჩემპიონები;</li> <li>2. ვაჟები 13 წლის - მე-5 ადგილი;</li> <li>3. გოგონები 16 წლის - ჩემპიონები;</li> <li>4. ვაჟები - მე-6 ადგილი;</li> <li>5. ქალები - მე-3 ადგილი.</li> </ol> |
| მიღწეული შედეგი     | <p>მოსახლეობის დაინტერესება და ჩართულობა სპორტის ამ სახეობაში, ჯანსაღი თაობის აღზრდა, ფოთელი სპორტსმენების მიღწევების კიდევ უფრო გაუმჯობესება, წარმატებული სპორტსმენების ნაკრებისათვის შერჩევა.</p>   |

| ქვეპროგრამის დასახელება                  | კოდი  | ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები | დაფინანსება ათას ლარში |
|--|---|---------------------------------------|------------------------|
|  | 05 01 02  |                                       | 391,7                  |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სპორტის სამსახური.  |                                       |                        |
| ქვეპროგრამის აღწერა                      | <p>2024 წელს დაფინანსდა შემდეგი ღონისძიებები:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ წლის განმავლობაში წარმატებულ სპორტსმენებისა და მათი მწვრთნელებისათვის მატერიალური წახალისება (ჯილდო) - 114,3 ათ. ლარი; აღნიშნული თანხით მატერიალური წახალისება გაეწია 68 წარმატებულ სპორტსმენსა და 46 მწვრთნელს.</li> <li>➤ სხვადასხვა სპორტულ და ახალგაზრდულ ღონისძიებებში მონაწილეთა ტრანსპორტირება - 4,1 ათ. ლარი;</li> <li>➤ რეგიონალური სასკოლო ოლიმპიადისთვის მხიარულ სტარტებში, მინი ფეხბურთში, მინი კალათბურთში (3X3) და ხელბურთში მონაწილეების ფორმებით უზრუნველყოფა - 3,9 ათ. ლარი;</li> <li>➤ ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერის პროგრამა - 29,9 ათ. ლარი; პროექტის ფარგლებში დაფინანსდა 5 პროექტი.</li> <li>➤ ნიკო ნიკოლაძის სახელობის სტიპენდია (ჯილდო) წარმატებული სტუდენტებისათვის - 52,2 ათ. ლარი;</li> <li>➤ ნიკო ნიკოლაძის სახელობის სტიპენდია (ჯილდო) გაიცა: <ul style="list-style-type: none"> <li>ა) საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმატებულ 63 სტუდენტზე. სტიპენდია გაიცა წელიწადში 2-ჯერ 625 ლარის ოდენობით;</li> <li>ბ) ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმატებულ 10 სტუდენტზე. სტიპენდია გაიცა წელიწადში 2-ჯერ 625 ლარის ოდენობით;</li> <li>გ) საზღვარგარეთ უმაღლესი სასწავლებლის საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული და გაცვლითი პროგრამის მონაწილე წარმატებულ 3 სტუდენტზე ერთჯერადად 2 000 ლარის ოდენობით.</li> </ul> </li> <li>➤ საგანმანათლებლო მედია პროექტი „ეტალონი“ - 4,0 ათ. ლარი;</li> <li>➤ თეატრალური ფესტივალი მოსწავლეებისათვის - 3,3 ათ. ლარი;</li> <li>➤ ზურაბ სარსანიას სახელობის საერთაშორისო ტურნირი კრივში - 8,5 ათ. ლარი;</li> <li>➤ ვიქტორ კრატასიუკის სახელობის რეგატა კანოე კაიაკში, ომარ ბერაიას სახელობის რეგატა აკადემიურ ნიჩბოსნობაში - 5,9 ათ. ლარი;</li> <li>➤ ნუგზარ ტყეშელაშვილის სახელობის რეგიონული ტურნირი პლაჟის ფეხბურთში -</li> </ul> |                                       |                        |

|                 |   |
|-----------------|---|
|                 | <p>5,7 ათ. ლარი;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ თენგიზ ბარამიძის სახელობის პირველობა 64-უჯრიან შაშში საჯარო და კერძო სკოლების გოგონათა და ვაჟთა შორის - 3,6 ათ. ლარი;</li> <li>➤ ქალაქ ფოთის პირველობა შეზღუდული შესაძლებლობის პირთა შორის - 5,0 ათ. ლარი;</li> <li>➤ ვაინარ სუხიშვილის სახელობის პირველობა კალათბურთში საჯარო და კერძო სკოლების ვაჟ მოსწავლეთა შორის - 4,7 ათ. ლარი;</li> <li>➤ ფოთის საყმაწვილო კინოსკოლა - 20,3 ათ. ლარი;</li> <li>➤ საზღვაო სეზონის გახსნისადმი მიძღვნილი ღონისძიება - 25,1 ათ. ლარი;</li> <li>➤ ზაფხულის ზღვისპირა საღამოები - 34,3 ათ. ლარი;</li> <li>➤ ახალგაზრდების მხარდაჭერის პროგრამა - 8,8 ათ. ლარი;<br/>აღნიშნული თანხით ერთჯერადად 1 250 ლარით დაფინანსდა 2024 წელს ერთიანი ეროვნულ გამოცდების საფუძველზე ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში 100%-იანი სახელმწიფო გრანტით ჩარიცხული 7 სტუდენტი.</li> <li>➤ მასწავლებლის დღე - 40,6 ათ. ლარი;</li> <li>➤ პეტრე ზამბახიძის სახელობის რეგიონული ტურნირი ფეხბურთში - 7,5 ათ. ლარი;</li> <li>➤ სასკოლო სპორტული ოლიმპიადის პროგრამით გათვალისწინებული პირველობები საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეთა შორის: მინი ფეხბურთი (ვაჟები), მინი კალათბურთი (გოგონები, ვაჟები), ხელბურთი (გოგონები, ვაჟები), გეზბენი (გოგონები, ვაჟები), მაგიდის ჩოგბურთი (გოგონები, ვაჟები), ფრენბურთი (გოგონები, ვაჟები) და მხიარული სტარტები (გოგონები, ვაჟები) - 10,0 ათ. ლარი.</li> </ul> <p>პროგრამის ფარგლებში 2024 წელს ჩატარდა ბიუჯეტით გათვალისწინებული 45 სხვადასხვა სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიება, ნულოვანი ბიუჯეტით კი 35 აქტივობა და ღონისძიება. სულ ჩატარდა 80 ღონისძიება.</p> <p>აღნიშნულ ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო 5 500 სპორტსმენმა და ახალგაზრდამ. სპორტულ და ახალგაზრდულ ღონისძიებებს ესწრებოდა დაახლოებით 50 000 მკურნალები.</p> <p>სამსახურს ასევე დაევალა სხვადასხვა სამუშაოების შესრულება:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საახალწლო ქალაქგაფორმების (მათ შორის ნაძვის ხის), ტექნიკური დოკუმენტის მომზადება, ბაზრის კვლევა და ინვენტარის მიღება.</li> <li>- საქართველოს მთავრობის 2024 წლის 23 ივლისის N1025 განკარგულების შესაბამისად „მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის“ ინიციატივის განხორციელების მიზნით, ატრაქციონების შექმნა-მონტაჟის (თანმდევრი მომსახურებით) გამარტივებულ შესყიდვასთან დაკავშირებით ტექნიკური დოკუმენტის მომზადება, ბაზრის კვლევა და ინვენტარის მიღება.</li> <li>- საღმრთო დაწესებულებების ეზოებში საბავშვო ატრაქციონების (თანმდევრი მომსახურებით) შექმნის მიზნით ტექნიკური დოკუმენტის მომზადება, ბაზრის კვლევა და ინვენტარის მიღება.</li> <li>- „მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის“ ინიციატივის განხორციელების მიზნით, საქართველოს მთავრობის 2024 წლის 23 ივლისის N1025 განკარგულების შესაბამისად, მალთაყვის სანაპირო ზოლის და დავით აღმაშენებლის ქუჩის (მათ შორის ყოფილი უშიშროების შენობის ეზო) გამწვანების სამუშაოების გამარტივებულ შესყიდვასთან დაკავშირებით ტექნიკური დოკუმენტის მომზადება, ბაზრის კვლევა და გამარჯვებული კომპანიის შპს „გრინ ეკო პარკ ჯორჯია ნწ“-ს მიერ დარგული ნარგავების მიღება. სულ დაირგო 27 სახეობის 4 196 ნერგი.</li> </ul> |
| მიღწეული შედეგი | ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ახალგაზრდების მხრიდან თავისუფალი დროის შინაარსიანად და ეფექტურად გატარება, სპორტის სფეროში მოღვაწე წარმატებული ადამიანების წარმოჩენა, ნიჭიერი ახალგაზრდების მოტივირება და ინიციატივების წახალისება.  |

| ქვეპროგრამის დასახელება                  | კოდი   | სპორტისა და ტურიზმის ცენტრის ხელშეწყობა | დაფინანსება ათას ლარში |
|--|--|---|------------------------|
|  | 05 01 03   |   | 3 428,9                |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სპორტისა და ტურიზმის ცენტრი“.  |   |                        |
| ქვეპროგრამის აღწერა                      | <p>ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სპორტისა და ტურიზმის ცენტრთან“ არსებულმა კრივის, ჭიდაობის, ჭადრაკის, ფეხბურთის, კალათბურთის, ძალოსნობის, მძლეოსნობის, ცხენოსნობის, კანოეს, ნიჩბოსნობის, წყლის სახეობების, აღმოსავლური ორთაბრძოლების, ძალისმიერი სამჭიდის სექციებმა, 93 მწვრთნელის (ქალი - 5, კაცი - 88) მეშვეობით, უზრუნველყო სხვადასხვა ასაკობრივი კატეგორიების სწავლება, სულ 1 180 ბენეფიციარის (გოგო - 112, ბიჭი - 1 068).</p> <p>ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სპორტისა და ტურიზმის ცენტრის“ სპორტსმენებმა მონაწილეობა მიიღეს თითქმის ყველა ასაკობრივ კატეგორიაში საქართველოს ჩემპიონატებში, საერთაშორისო შეჯიბრებებში, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე.</p> <p>ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სპორტისა და ტურიზმის ცენტრმა“ 2024 წელს უზრუნველყო 11 სპორტული და გასართობი ღონისძიებების ორგანიზება, სპორტული ღონისძიებების ორგანიზებისათვის საჭირო თასების, მედლების, სიგელების, ჯილდოების, ბანერების, ვიდეო და ბეჭდვითი რეკლამების დამზადება და სხვა მარკეტინგული საქმიანობის წარმოება, სპორტული ინვენტარის, სპეციალური ფორმებისა და სპორტული აღჭურვილობის შეძენა, სასწავლო-საწვრთნო შეკრებების ორგანიზება, მწვრთნელთა ოსტატობის ამადლების მიზნით ტრენინგ-სემინარებისა და სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება, სპორტსმენთა ეროვნულ და საერთაშორისო ასპარეზზე გამოსვლისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება. 2024 წელს ჩატარდა ფოთის მე-17 საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალი. 2024 წელს სპორტულ აქტივობებში ჩართული იყო 72 ჯგუფი, 1 155 ახალგაზრდა. სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში ჩემპიონები და პრიზიორები გახდა 335 სპორტსმენი.</p> |   |                        |
| მიღწეული შედეგი                          | მოსახლეობის დაინტერესება და ჩართულობა სპორტის სხვადასახევა სახეობებში, ჯანსაღი თაობის აღზრდა, სპორტის სფეროში მოღვაწე წარმატებული ადამიანების წარმოჩენა, სპორტის სხვადასხვა სახეობებში ჩატარებულ ჩემპიონატებში მონაწილე სპორტსმენთა მიღწევების კიდევ უფრო გაუმჯობესება.  |   |                        |

| ქვეპროგრამის დასახელება                  | კოდი   | კაპიტალური დაბანდებები სპორტის სფეროში | დაფინანსება ათას ლარში |
|--|--|--|------------------------|
|  | 05 01 05   |  | 121,3                  |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახური.  |  |                        |
| ქვეპროგრამის აღწერა                      | <p>ქალაქში არსებულ მინი სპორტულ მოედნებს საკმაოდ აქტიურად იყენებენ ახალგაზრდები თავისუფალი დროის ნაყოფიერად გასატარებლად. მათი ნაწილი საჭიროებდნენ კაპ.შეკეთების სამუშაოებს. შესაბამისად, ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ მინი სპორტული მოედნების კაპ. შეკეთების სამუშაოები - 108,6 ათ. ლარით; აღნიშნული თანხით კაპიტალურად შეკეთდა 9 აპრილის №25 ს/სახლის მიმდებარედ არსებული მინი სპორტული მოედანი.</li> </ul> |  |                        |

|                 |  |
|-----------------|--|
|                 | <p>➤ საფეხბურთო კლუბის "კოლხეთი-1913" ბაზის კაპიტალური შეკეთება - 12,7 ათ. ლარით. აღნიშნული თანხა 2023 წლის კრედიტორული დავალიანებაა.</p>  |
| მიღწეული შედეგი | <p>გენდერული ასპექტების გათვალისწინებით მოწესრიგებული სპორტული ინფრასტრუქტურა. სპორტით დაინტერესებული მომავალი თაობის რაოდენობის ზრდა.</p> |

**განმარტება:** ქვეპროგრამის „კაპიტალური დაბანდებები სპორტის სფეროში“ (პროგრამული კოდი 05 01 05) გეგმის შეუსრულებლობა (73,8%) გამოწვეული იყო იმით, რომ მშენებელს, რომელსაც უნდა შეესრულებინა კუნძულის სანაპირო ზოლზე არსებული მინი სპორტული მოედნის კაპიტალური შეკეთების სამუშაო, ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო, ხელშეკრულება შეუწყდა.

|  |  |   |                        |
|--|--|---|------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება                  | კოდი   | მინი სპორტული მოედნების მოვლა-პატრონობა | დაფინანსება ათას ლარში |
|  | 05 01 07   |   | 99,0                   |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრი“.  |   |                        |
| ქვეპროგრამის აღწერა                      | <p>ქალაქში არსებობს 37 მინი სპორტული მოედანი, რომელსაც საკმაოდ აქტიურად იყენებენ ახალგაზრდები თავისუფალი დროის ნაყოფიერად გასატარებლად. არსებული მინი სპორტული მოედნები საჭიროებდა მოვლა-პატრონობას.</p> <p>სერვისების ცენტრმა განხორციელებული მონიტორინგის შედეგად გამოავლინა-დააზუსტა სპორტულ მოედნებზე შესასრულებელი სამუშაოების ნუსხა, რომლის შესაბამისადაც, 27 ლოკაციაზე შეასრულა შემდეგი სამუშაოები: ღობის ლითონის მავთულბადის და ხელოვნური მწვანე საფარის დაზიანებული ნაწილების გამოცვლის, შედუღება-შეღებვის, ძელების გამაგრების სამუშაოები. მოქალაქეთა უსაფრთხოების მიზნით, მოედნების შიდა ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ბოძები გადატანილ იქნა გარე პერიმეტრზე. სადაც არ იყო გარე განათების ბოძები დამონტაჟდა-მოეწყო გარე განათება, შეკეთდა და შეიღება სპორტული მოედნების კარები, გამოიცვალა ფეხბურთის კარების და კალათბურთის ფარების ბადეები, დასუფთავდა და მოწესრიგდა მოედნების ტერიტორიები და სხვა.</p> |   |                        |
| მიღწეული შედეგი                          | მოწესრიგებული სპორტული ინფრასტრუქტურა. სპორტით დაინტერესებულთა რაოდენობის ზრდა.  |   |                        |

|  |   |   |                        |
|--|---|---|------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება                  | კოდი  | მრავალფუნქციური საცურაო კომპლექსის ხელშეწყობა | დაფინანსება ათას ლარში |
|  | 05 01 09  |   | 1 605,2                |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მრავალფუნქციური საცურაო კომპლექსი“.   |   |                        |
| ქვეპროგრამის აღწერა                      | <p>ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მრავალფუნქციურმა საცურაო კომპლექსმა“ უზრუნველყო:</p> <p>ა) სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების ორგანიზება;</p> <p>ბ) დასვენებისა და გართობის ღონისძიებების ხელშეწყობა და ორგანიზება;</p> <p>გ) პროფილის შესაბამისად, ბავშვთა აღზრდა და სპორტული დაოსტატება;</p> <p>დ) ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და მისი დამკვიდრება, მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა;</p> <p>ე) ცურვის ცალკეული სახეობების მიხედვით მუნიციპალური შეჯიბრებების მოწყობა;</p> <p>ვ) სამედიცინო-დიაგნოსტიკური, სპორტულ-გამაჯანსაღებელი პროცესის ორგანიზება.</p> |   |                        |



|                 |  |
|-----------------|--|
|                 | <p>კერძოდ:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ ჩატარდა სასკოლო სპორტული ოლიმპიადა 2024 წლის ფარგლებში დასავლეთ საქართველოს თამაშებზე, მხიარული სტარტები;</li> <li>➤ ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაფინანსებით ჩატარდა ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილი ბავშვებისათვის სოციალური პროგრამა, რომლის ფარგლებშიც 50 ბავშვმა ისარგებლა 2 თვიანი ცურვის შემსწავლელი გაკვეთილებით;</li> <li>➤ ჩატარდა თბილისის 16 წლამდე წყალბურთელ გოგონათა გუნდ „ივერიას“ სპორტული შეკრება;</li> <li>➤ ჩატარდა ნანა ალექსანდრიას სახელობის საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი;</li> <li>➤ ჩატარდა ქ.ფოთში კალათბურთის ტურნირი ზაფხულის თამაშები 3X3;</li> <li>➤ ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი კალათბურთში;</li> <li>➤ „საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა ინტეგრაციის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში 4 ბავშვმა ისარგებლა 1 თვიანი ცურვის შემსწავლელი გაკვეთილებით.</li> </ul> <p>ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მრავალფუნქციური საცურაო კომპლექსში“ 2024 წელს ირიცხებოდა 2 774 ბენეფიციარი. მათ შორის 4 დან 16 წლამდე - 1 464 ბენეფიციარი.</p> |
| მიღწეული შედეგი | ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ახალგაზრდების მხრიდან თავისუფალი დროის შინაარსიანად და ეფექტურად გატარება; სპორტით დაინტერესებულთა რაოდენობის ზრდა, ჯანსაღი თაობის აღზრდა, მასობრიობა.  |

| პროგრამის დასახელება                  | კოდი  | კულტურის სფეროს განვითარება   | დაფინანსება ათას ლარში |
|---------------------------------------|-------|---|------------------------|
|                                       | 05 02 |   | 3 267,2                |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური |       | ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სპორტის სამსახური; ა(ა)იპ "აკაკი ჩხაიძის სახელობის სახელოვნებო სამხატვრო სასწავლებელი"; ა(ა)იპ "არჩილ ხორავას სახელობის სკოლისგარეშე სახელოვნებო სასწავლებელი"; ა(ა)იპ "ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის შემოქმედების ცენტრი"; ა(ა)იპ "ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ფოლკლორის ცენტრი"; ა(ა)იპ "ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საგამოფენო დარბაზი"; ა(ა)იპ "თვითმმართველი ქალაქ ფოთის საბიბლიოთეკო გაერთიანება"; სსიპ "ქ. ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის პროფესიული სახელმწიფო თეატრი", ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახური. |                        |
| პროგრამის აღწერა                      |       | პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სხვადასხვა სახელოვნებო და საგანმანათლებლო ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა. დაფინანსდა კულტურული და საგანმანათლებლო ღონისძიებები.   |                        |
| მიღწეული შედეგი                       |       | გენდერული ასპექტების გათვალისწინებით მასობრივი ღონისძიებების ორგანიზება, ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების პოპულარიზაცია, კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება, კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების შემოქმედების წარმოჩენა და მოტივაციის ზრდა.   |                        |

| ქვეპროგრამის დასახელება                  | კოდი        | აკაკი ჩხაიძის სახელობის სახელოვნებო სამხატვრო სასწავლებლის ხელშეწყობა | დაფინანსება ათას ლარში |
|--|-------------|---|------------------------|
|  | 05 02 01 01 |   | 414,4                  |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური |             | ა(ა)იპ "აკაკი ჩხაიძის სახელობის სახელოვნებო სამხატვრო სასწავლებელი".  |                        |

|                            |  |
|----------------------------|--|
| <p>ქვეპროგრამის აღწერა</p> | <p>ქვეპროგრამა ითვალისწინებდა მოსწავლე/ახალგაზრდობაში ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრებას, სახელოვნებო/შემოქმედებითი აქტივობების განვითარებას, სახვითი ხელოვნების, დიზაინის, კერამიკის, ტიხრული მინანქრის, ხეზე კვეთის, მხატვრული ქსოვის, ფოტოხელოვნების, ანიმაციის, ხელოვნების ისტორიის და გრაფიკული დიზაინის მიმართულებით.</p> <p>ქვეპროგრამა ეფუძნებოდა შემოქმედებითი და აკადემიური თავისუფლების პრინციპებს და მიზნად ისახავდა ეროვნული კულტურის ტრადიციების დაცვას, გენერირებას და განვითარებას, როგორც ადგილობრივ ისე საერთაშორისო ასპარეზზე ღირსეული ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად. სასწავლებელი არის ეროვნული კულტურის ფასეულობებზე, ხელოვნების თანამედროვე მიღწევებზე დაფუძნებული წამყვანი სახელოვნებო სასწავლებელი რეგიონში, რომელსაც მჭიდრო კავშირი აქვს დამყარებული საერთაშორისო პარტნიორებთან და ყოველმხრივ უწყვეტ პოპულარიზაციას ქართულ კულტურას, საერთაშორისო პლენერებისა და ფესტივალების მეშვეობით.</p> <p>ქვეპროგრამა ითვალისწინებდა ხელოვნების ახალი მიმართულებების, შემოქმედთა ახალი იდეების მხარდაჭერას ხალხური რეწვისა და დეკორატიულ გამოყენებითი ხელოვნების სფეროში, ინოვაციური, კრეატიული პროექტების განხორციელების ხელშეწყობას, აქტუალური საკითხების ხელოვნების გზით წარმოჩენას და საზოგადოებისთვის გაცნობას, ინკლუზიური ჯგუფებისთვის ხელოვნების ხელმისაწვდომობის გაზრდას, ხელოვნების თანამედროვე მიმართულებების პოპულარიზაციასა და მხარდაჭერას, ქ. ფოთის კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნებას და კულტურულ ღონისძიებებზე საზოგადოების ხელმისაწვდომობის გაზრდას.</p> <p>2024 წელს ა(ა)იპ "აკაკი ჩხაიძის სახელობის სახელოვნებო სამხატვრო სასწავლებელში ირიცხებოდა 230 მოზარდი (გოგო-172, ბიჭი - 58).</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ "აკაკი ჩხაიძის სახელობის სახელოვნებო სამხატვრო სასწავლებელმა“ ჩაატარა 28 ღონისძიება. სხვადასხვა სასწავლო პროგრამაში ჩართული იყო 190 მოზარდი.</p> |
| <p>მიღწეული შედეგი</p>     | <p>პროექტების მხარდაჭერა, ფოტოხელოვნების საერთაშორისო ფესტივალის, საერთაშორისო პლენერისა და ღონისძიებების ორგანიზება.</p> <p>განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების გამოვლენა და სხვადასხვა სახის კონკურსებში და გამოფენებში მონაწილეობის ხელშეწყობა, საერთაშორისო პლენერებისა და ფესტივალების მეშვეობით კონტაქტების დამყარება უცხოელ მხატვრებთან, ახალი სახელოვნებო პროფესიების დანერგვა.</p>  |

|   |  |   |   |
|---|--|---|---|
| <p>ქვეპროგრამის დასახელება</p>                  | <p>კოდი<br/>05 02 01<br/>02</p>  | <p>არჩილ ხორავას სახელობის სკოლისგარეშე სახელოვნებო სასწავლებლის ხელშეწყობა</p> | <p>დაფინანსება ათას ლარში<br/>574,3</p> |
| <p>ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური</p> | <p>ა(ა)იპ "არჩილ ხორავას სახელობის სკოლისგარეშე სახელოვნებო სასწავლებელი".</p>   |   |   |
| <p>ქვეპროგრამის აღწერა</p>                      | <p>ქვეპროგრამის ფარგლებში სასწავლებლის მიზანია აზიაროს მოსწავლეები ხელოვნების საფუძვლებს, გააცნოს და შეაყვაროს მათ ეროვნული კულტურული მემკვიდრეობა, ქართული და მსოფლიოს ხელოვნების ნიმუშები. მოსწავლეთა კონკურსებში, ფესტივალებსა და ღონისძიებებში მონაწილეობის უზრუნველყოფის გზით, გამოავლინოს და წარმოაჩინოს განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეები, იზრუნოს მოსწავლეთა ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბებაზე, გამოუმუშაოს მოსწავლეებს სამყაროს მხატვრული აღქმის საკუთარი ინტერპრეტაციის უნარ-ჩვევები, პრაქტიკული მხატვრული აქტივობის განვითარებით.</p> <p>სასწავლებელში ფუნქციონირებს საფორტეპიანო, ვოკალური, სავიოლინო, საესტრადო, საგუნდო, საორკესტრო, ხალხური საკრავების, კლასიკური</p> |   |   |

|                 |   |
|-----------------|---|
|                 | <p>ბალეტის განყოფილებები, ქართული ხალხური და თანამედროვე ცეკვების, მეტყველების კულტურისა და კლასიკური გიტარის შემსწავლელი წრეები.</p> <p>სასწავლებელში ირიცხებოდა საშუალოდ 405 მოზარდი (გოგო - 275, ბიჭი - 130).</p> <p>სასწავლებელი ამზადებს კადრებს ხელოვნების უმაღლეს სასწავლებელში (კონსერვატორიაში) სწავლის გასაგრძელებლად.</p> <p>2024 წელს ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ "არჩილ ხორავას სახელობის სკოლისგარეშე სახელოვნებო სასწავლებელმა" ჩაატარა 48 ღონისძიება. სხვადასხვა სასწავლო პროგრამაში ჩართული იყო 405 მოზარდი.</p> |
| მიღწეული შედეგი | განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების გამოვლენა და ხელშეწყობა; მოსწავლეების ჩართვა საგანმანათლებლო და კულტურულ ღონისძიებებში.   |

| ქვეპროგრამის დასახელება                  | კოდი  | მოსწავლე-ახალგაზრდობის შემოქმედების ცენტრის ხელშეწყობა | დაფინანსება ათას ლარში |
|--|---|--|------------------------|
|  | 05 02 01 03   |  | 683,4                  |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ა(ა)იპ "ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის შემოქმედების ცენტრი".  |  |                        |
| ქვეპროგრამის აღწერა                      | <p>აღნიშნული ქვეპროგრამა ემსახურება ქალაქში სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების განვითარებას, მოსწავლეთა ტექნიკური, საბუნებისმეტყველო, ეკოლოგიური, მხატვრული და ესთეტიკური კუთხით განვითარებას, ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციას და სწავლებას, ნიჭიერ შემოქმედთა, შემსრულებელთა გამოვლენასა და მათი შემოქმედებითი ზრდის ხელშეწყობას, მხატვრულ-შემოქმედებითი კოლექტივების, ანსამბლების, ჯგუფების, სტუდიების, მოყვარულთა თეატრების, საერთო-შემეცნებითი ჯგუფების ჩამოყალიბებას, მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით, საგნობრივი წრეების შექმნას, სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების ჩატარებას, რაც ხელს უწყობს როგორც მოსწავლის, ასევე საზოგადოების კულტურულ განვითარებას.</p> <p>2024 წელს მოსწავლე-ახალგაზრდობის შემოქმედების ცენტრში ირიცხებოდა 600 მოზარდი (გოგო – 388, ბიჭი - 212).</p> <p>2024 წელს ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ "ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის შემოქმედების ცენტრმა" ჩაატარა 35 ღონისძიება და მოემსახურა 600 მოსწავლეს.</p> |  |                        |
| მიღწეული შედეგი                          | კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება, პატივისცემა და განვითარება; ხელოვნების სასურველი მიმართულებებით სწავლება, განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების გამოვლენა და ხელშეწყობა. მოსწავლე-ახალგაზრდობის ჩართვა საგანმანათლებლო და კულტურულ ღონისძიებებში.  |  |                        |

| ქვეპროგრამის დასახელება                  | კოდი   | ფოლკლორის ცენტრის ხელშეწყობა | დაფინანსება ათას ლარში |
|--|--|------------------------------|------------------------|
|  | 05 02 01 04  |                              | 761,8                  |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ა(ა)იპ "ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ფოლკლორის ცენტრი".   |                              |                        |
| ქვეპროგრამის აღწერა                      | <p>ქვეპროგრამის მიზანია ხალხური შემოქმედების სხვადასხვა ჟანრის (სიმღერის, ცეკვის, ზეპირსიტყვიერების, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, მოყვარულთა თეატრების) ნიმუშების მოძიება, გამოვლენა, თავმოყრა, შენარჩუნება-განვითარება და მათი შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობა, ქართული ხალხური სიმღერის შემსრულებლებსა და ლოტბარებთან, მოცეკვავეებსა და ქორეოგრაფებთან, ხალხურ მთქმელებთან, ხალხური რეწვის</p> |                              |                        |

|                 |   |
|-----------------|---|
|                 | <p>ოსტატებთან, თეატრალურებთან მჭიდრო კონტაქტი, კონსულტაციები და მათი რეპერტუარის დახვეწა-გამდიდრება, ყოფიდან გამქრალი ხალხური სიმღერების, სიმღერის ტექსტების, ცეკვების, ზეპირსიტყვიერების ჟანრების, ხალხური რეწვის დარგების აღდგენა-პოპულარიზაცია, ცენტრის არქივის შევსება და გამდიდრება (მის ბაზაზე ფოლკლორის მუზეუმის გახსნა), ა(ა)იპ "ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ფოლკლორის ცენტრში" არსებული კოლექტივების ხელშეწყობა, შიდასაქალაქო, რესპუბლიკური და საერთაშორისო მასშტაბის ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება.</p> <p>შესაბამისად, გაიზარდა თვითშემოქმედებითი კოლექტივების აქტივობები და მიღწეული წარმატებები რესპუბლიკურ თუ საერთაშორისო ფესტივალებზე.</p> <p>2024 წელს ფოლკლორის ცენტრში ირიცხებოდა 203 მოზარდი. 2024 წელს ქვეპროგრამის ფარგლებში ცენტრმა ჩაატარა 22 ღონისძიება.</p> |
| მიღწეული შედეგი | <p>ქართული ტრადიციული კულტურის შენარჩუნება, ქართული ფოლკლორის პოპულარიზაცია, მოსახლეობაში კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის აღმავლობა, ჩართულობა და დაინტერესების ზრდა, შემოქმედებითი უნარების განვითარების ხელშეწყობა, განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების გამოვლენა და ხელშეწყობა.</p>   |

|  |  |                                |                        |
|--|--|--------------------------------|------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება                  | კოდი   | საგამოფენო დარბაზის ხელშეწყობა | დაფინანსება ათას ლარში |
|  | 05 02 01 05  |                                | 234,6                  |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ა(ა)იპ "ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საგამოფენო დარბაზი".   |                                |                        |
| ქვეპროგრამის აღწერა                      | <p>საგამოფენო დარბაზის პრიორიტეტია ხელი შეუწყოს მხატვრებს შემოქმედებით საქმიანობაში, გააცნოს მათი შემოქმედება მოსახლეობას, მოაწყოს როგორც პერსონალური და ერთობლივი, ისე გასვლითი გამოფენები, პლენერები, დაბეჭდოს კატალოგები, რომელთა შექმნა შესაძლებელია ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საგამოფენო დარბაზის სალონში.</p> <p>მნიშვნელოვანია, რომ საგამოფენო დარბაზი თანამშრომლობს საჯარო თუ კერძო სკოლებთან და ხშირად მასპინძლობს მოსწავლეებს, გამოფენებსა თუ ღია გაკვეთილებს, სთავაზობს მათ სხვადასხვა კონკურსს. საგამოფენო სივრცეში, საგანმანათლებლო საქმიანობის გააქტიურების და საგამოფენო სივრცის შემეცნებითი როლის გაზრდის მიზნით, საგამოფენო დარბაზი სხვადასხვა საფეხურის მოსწავლეებს (ასაკის შესაბამისად) სთავაზობს საგანმანათლებლო პროგრამებს, შემოქმედებით და შემეცნებით აქტივობებს. გარდა ამისა, ფოთელი მხატვრები ატარებენ მასტერკლასებს ფერწერასა და გრაფიკაში, სისტემატურად ტარდება ლექციები ხელოვნებაზე, რომელსაც საგამოფენო დარბაზის თანამშრომლები უძღვებიან.</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში, ა(ა)იპ "ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საგამოფენო დარბაზმა" 2024 წელს ჩაატარა 12 ღონისძიება.</p> |                                |                        |
| მიღწეული შედეგი                          | მოსახლეობის აქტიური ჩართვა კულტურულ ღონისძიებებში; ნიჭიერი შემოქმედი ადამიანების გამოვლენა, წარმოჩენა.   |                                |                        |

|  |  |                                      |                        |
|--|--|--------------------------------------|------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება                  | კოდი   | საბიბლიოთეკო გაერთიანების ხელშეწყობა | დაფინანსება ათას ლარში |
|  | 05 02 01 06  |                                      | 361,3                  |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ა(ა)იპ "თვითმმართველი ქალაქ ფოთის საბიბლიოთეკო გაერთიანება". |                                      |                        |

|                     |  |
|---------------------|--|
| ქვეპროგრამის აღწერა | <p>ქვეპროგრამის ფარგლებში საბიბლიოთეკო გაერთიანება უზრუნველყოფს ეროვნული და საკაცობრიო კულტურის, სულიერების, ეროვნული იდენტობისა და სახელმწიფოებრიობასთან დაკავშირებული ტრადიციების შენახვასა და გადარჩენას; საბიბლიოთეკო ფონდის ორგანიზებას და ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, საკლუბო და სალონური მუშაობის გაზრდას, მონაცემთა ბაზის შექმნას; საბიბლიოთეკო პროცესებში ელექტრონული საცნობარო აპარატის, მონაცემთა ბაზის კომპიუტერული ქსელისა და ქსელური აპარატის ფუნქციონირების უზრუნველყოფას, მოქალაქეთა მომსახურებას საბიბლიოთეკო ფონდებით, ახალგაზრდებისათვის თავისუფალი სივრცეების შექმნას.</p> <p>2024 წელს ბიბლიოთეკების მომსახურებით ისარგებლა 1 850 ბენეფიციარმა. ჩატარდა 140 ღონისძიება.</p> |
| მიღწეული შედეგი     | <p>ბიბლიოთეკების შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფა. გაზრდილი ბეჭდვითი და ელექტრონული ფონდი. ჩატარებული კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები. მოსახლეობის, მოსწავლე ახალგაზრდობის აქტიური ჩართვა საგანმანათლებლო და კულტურულ ღონისძიებებში.</p>   |

|  |  |  |                        |
|--|--|--|------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება                  | კოდი   | რეგიონალური თეატრების საერთაშორისო ფესტივალის მხარდაჭერა | დაფინანსება ათას ლარში |
|  | 05 02 01 07  |  | 35,0                   |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი;<br>სსიპ „ქალაქ ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის პროფესიული სახელმწიფო თეატრი“.  |  |                        |
| ქვეპროგრამის აღწერა                      | ტრადიციად ჩამოყალიბდა ქალაქ ფოთში რეგიონალური თეატრების ფოთის საერთაშორისო ფესტივალის ჩატარება. ზემოაღნიშნული ფესტივალის ჩატარება მნიშვნელოვანია ქალაქ ფოთის კულტურული და ტურიზმის განვითარების კუთხით, რადგან ფესტივალში მონაწილეობენ როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოეთიდან მოწვეული თეატრალური კოლექტივები. |  |                        |
| მიღწეული შედეგი                          | მოსახლეობის აქტიური ჩართვა კულტურულ ღონისძიებებში, სხვადასხვა ქვეყნების კულტურის გაცნობა, მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის ზრდა.  |  |                        |

|  |   |                        |                        |
|--|---|------------------------|------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება                  | კოდი  | კულტურული ღონისძიებები | დაფინანსება ათას ლარში |
|  | 05 02 02  |                        | 202,4                  |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სპორტის სამსახური.  |                        |                        |
| ქვეპროგრამის აღწერა                      | <p>2024 წელს დაფინანსდა შემდეგი კულტურული ღონისძიებები:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ შობა-ახალი წლისადმი მიძღვნილი ღონისძიება - 112,5 ათ. ლარი; აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობას ღებულობდნენ როგორც მოწვეული, ასევე ადგილობრივი ანსამბლები და შემსრულებლები.</li> <li>➤ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში მოღვაწე კულტურის, ხელოვნების განათლების მუშაკების, დამსახურებული საზოგადო მოღვაწეების, სხვადასხვა ღონისძიებებში გამარჯვებული ახალგაზრდების, სკოლის წარჩინებულ მოსწავლეთა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის საუკეთესო კურსდამთავრებული პირების მატერიალური წახალისება (ჯილდო) - 27,7 ათ. ლარი; მატერიალური წახალისება გაეწია წლის საუკეთესო 14 პედაგოგს, ქალაქ ფოთის საჯარო და კერძო სკოლების 33 ოქროს მედლის კანდიდატს და კოლეჯ ფაზისის 1 საუკეთესო კურსდამთავრებულს.</li> <li>➤ სხვადასხვა კულტურულ და საგანმანათლებლო ღონისძიებებში მონაწილეთა</li> </ul> |                        |                        |

|                 |   |
|-----------------|---|
|                 | <p>ტრანსპორტირება - 4,9 ათ. ლარი;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ შემეცნებითი საგანმანათლებლო პროგრამების ჩატარება ღია ცის ქვეშ - 6,0 ათ. ლარი;</li> <li>➤ ფიროსმანის მებადური ფოთში - 9,8 ათ. ლარი;</li> <li>➤ ა(ა)იპ საქართველოს რეგიონული თეატრების ქსელის მხარდაჭერის პროგრამა - 6,0 ათ. ლარი;</li> <li>➤ სსიპ ფოთის ვალერიან გუნიათაძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო თეატრის მხარდაჭერის პროგრამა - 20,0 ათ. ლარი;</li> <li>➤ არტ სალამო - 15,5 ათ. ლარი.</li> </ul> <p>2024 წელს ქვეპროგრამის ფარგლებში ჩატარდა 13 კულტურული ღონისძიება, რომელსაც ესწრებოდა დაახლოებით 15 000 მაცურებელი.</p> |
| მიღწეული შედეგი | <p>მასობრივი ღონისძიებების ორგანიზება, ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების პოპულარიზაცია, მოსახლეობის კულტურულ და საგანმანათლებლო ცხოვრებაში ჩართულობის ზრდა, კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების შემოქმედების წარმოჩენა.</p>  |


|  |   |   |                        |
|--|---|---|------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება                  | კოდი  | კაპიტალური დაბანდებები კულტურის სფეროში | დაფინანსება ათას ლარში |
|  | 05 02 03  |   | 0,0                    |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახური.   |   |                        |
| ქვეპროგრამის აღწერა                      | ქვეპროგრამა ითვალისწინებდა რუსთაველის რკალის N10-ში მდებარე შენობის სახურავის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ექსპერტიზის ხარჯების დაფინანსებას 7,0 ათ. ლარით. აღნიშნულზე ხელშეკრულება არ გაფორმებულა და შესაბამისად თანხაც არ გადარიცხულა. |   |                        |

|                                       |   |                                     |                        |
|---------------------------------------|---|-------------------------------------|------------------------|
| პროგრამის დასახელება                  | კოდი  | რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა | დაფინანსება ათას ლარში |
|                                       | 05 03   |                                     | 63,9                   |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი;<br>ფოთისა და ხობის ეპარქია.   |                                     |                        |
| პროგრამის აღწერა                      | <p>პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის სახელობის ფოთის საკათედრო ტაძრის, ფოთისა და ხობის ეპარქიის (ქალაქ ფოთში მდებარე რეზიდენციის) კომუნალური ხარჯები - 58,9 ათ. ლარით;</li> <li>➤ კვირაცხოვლობის დღესასწაულთან დაკავშირებით, სადღესასწაულო ტრაპეზის ორგანიზების ხარჯი - 5,0 ათ. ლარი.</li> </ul> |                                     |                        |
| მიღწეული შედეგი                       | ქალაქის იერსახის გაუმჯობესება, კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება, მოსახლეობის სულიერების ამაღლება, მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის ზრდა.  |                                     |                        |

**17. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)**

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. შესაბამისად, 2024 წელს განხორციელდა შეჭირვებული მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათებით უზრუნველყოფა. ჯანმრთელობის დაცვის მიზნით გატარდა სხვადასხვა ღონისძიებები.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით დაფინანსდა სხვადასხვა პროგრამები, რამაც უზრუნველყო მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.



*ათას ლარში*

| პროგრამული კოდი | დასახელება  | 2024 წლის გეგმა | 2024 წლის ფაქტი | შესრულება %-ში |
|-----------------|---|-----------------|-----------------|----------------|
| <b>06 00</b>    | <b>ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა</b>   | <b>7 274,3</b>  | <b>6 800,5</b>  | <b>93,5</b>    |
| 06 01           | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება  | 272,2           | 270,3           | 99,3           |
| 06 02           | ჯანდაცვის სხვა პროგრამები   | 1 250,1         | 1 049,1         | 83,9           |
| 06 02 01        | სამედიცინო მომსახურების დაფინანსების პროგრამა   | 581,0           | 464,7           | 80,0           |
| 06 02 02        | მოსახლეობის მედიკამენტებით უზრუნველყოფა   | 77,3            | 55,9            | 72,3           |
| 06 02 04        | სასმელი, სარეკრეაციო და ჩამდინარე წყლების სანიტარულ-ბაქტერიოლოგიური და სანიტარულ-ქიმიური გამოკვლევა | 40,0            | 40,0            | 100,0          |
| 06 02 05        | შშმ ბავშვთა აბილიტაცია-რეაბილიტაციის დაფინანსება  | 499,0           | 441,0           | 88,4           |
| 06 02 06        | ფენილკეტონურიით და ცელიაკით დაავადებულ პირთა კვებითი დანამატებით უზრუნველყოფა                       | 13,2            | 10,5            | 79,5           |
| 06 02 07        | კოხლარული იმპლანტით მოსარგებლე ბენეფიციართა დახმარება   | 4,0             | 1,4             | 35,0           |
| 06 02 10        | საქმიანობათა ცენტრი ფოთში უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისათვის                           | 30,0            | 30,0            | 100,0          |
| 06 02 11        | ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქვეწარმავლების წინააღმდეგ ბრძოლის პროგრამა                  | 5,6             | 5,6             | 100,0          |
| <b>06 03</b>    | <b>ჯანდაცვის ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია</b>  | <b>147,9</b>    | <b>147,8</b>    | <b>99,9</b>    |
| <b>06 04</b>    | <b>სოციალური დაცვა</b>  | <b>2 198,7</b>  | <b>1 928,6</b>  | <b>87,7</b>    |
| 06 04 01        | სარიტუალო მომსახურება   | 25,0            | 12,0            | 48,0           |
| 06 04 02        | მარტოხელა მშობელთა დახმარება  | 80,6            | 80,5            | 99,9           |
| 06 04 03        | ბავშვთა ცენტრის ხელშეწყობა  | 198,3           | 192,2           | 96,9           |
| 06 04 04        | განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა მხარდაჭერის პროგრამა  | 50,0            | 46,1            | 92,2           |

| პროგრამული კოდი | დასახელება   | 2024 წლის გეგმა | 2024 წლის ფაქტი | შესრულება %-ში |
|-----------------|--|-----------------|-----------------|----------------|
| 06 04 05        | 2008 წლის აგვისტოს მოვლენების დროს რუსეთის აგრესიის შედეგად დაღუპულთა ოჯახებისა და დაჭრილ მოქალაქეთა დახმარება   | 25,9            | 25,9            | 100,0          |
| 06 04 06        | მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთა, ამავე ომის შშმ პირთა და სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილეთა დახმარება                      | 6,6             | 5,4             | 81,8           |
| 06 04 07        | სარეზერვო ფონდიდან შეჭირვებულ ოჯახებზე გაწეული დახმარებები   | 52,8            | 52,8            | 100,0          |
| 06 04 08        | უსინათლოებისა და სმენადაქვეითებულთა დახმარების პროგრამა  | 58,4            | 55,9            | 95,7           |
| 06 04 09        | უსინათლოებისათვის წნევის გამზომი ხმოვანი აპარატების შექმნა   | 1,0             |                 |                |
| 06 04 10        | შშმ ბავშვთა დღის ცენტრის დახმარება კომუნალური გადასახადების დასაფინანსებლად  | 13,0            | 7,4             | 56,9           |
| 06 04 11        | სოციალურად დაუცველი სტუდენტების მხარდაჭერა   | 20,0            | 11,3            | 56,5           |
| 06 04 12        | ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის ღონისძიებები   | 2,1             | 0,6             | 28,6           |
| 06 04 14        | ახალშობილთა ოჯახების დახმარება   | 10,0            | 9,3             | 93,0           |
| 06 04 16        | მრავალშვილიანი ოჯახების ყოველთვიური დახმარება  | 245,7           | 243,3           | 99,0           |
| 06 04 17        | ხუთი და მეტწილიანი ოჯახების დახმარება  | 40,0            | 38,0            | 95,0           |
| 06 04 18        | სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებული დახმარებები   | 205,4           | 100,1           | 48,7           |
| 06 04 19        | განსაკუთრებით მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის ერთჯერადი დახმარება           | 47,0            | 43,0            | 91,5           |
| 06 04 20        | მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში მარტოდ მცხოვრები (მარტოხელა), სოციალურად დაუცველი, პენსიონერი მოქალაქეებისათვის გაზიფიცირების ხელშეწყობის პროგრამა | 3,0             | 0,8             | 26,7           |
| 06 04 21        | გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის პროგრამა  | 15,0            | 15,0            | 100,0          |
| 06 04 22        | თავშესაფრის გარეშე დარჩენილი ოჯახების დროებითი საცხოვრებელი ბინის ქირით უზრუნველყოფის პროგრამა   | 193,6           | 193,6           | 100,0          |
| 06 04 26        | ჟანგბადდამოკიდებული ბენეფიციარების მატერიალური დახმარება ჟანგბადით უზრუნველყოფის მიზნით  | 2,0             | 1,5             | 75,0           |
| 06 04 27        | საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახების ფინანსური დახმარება  | 10,2            | 10,0            | 98,0           |
| 06 04 28        | დიაბეტით დაავადებულ (18 წლამდე) ბავშვთა მატერიალური დახმარების პროგრამა  | 12,5            | 12,5            | 100,0          |
| 06 04 29        | სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის ერთჯერადი დახმარება   | 875,6           | 769,4           | 87,9           |
| 06 04 32        | რეინტეგრირებული და რეინტეგრაციას დაქვემდებარებული ბავშვიანი ოჯახების დახმარება   | 5,0             | 2,0             | 40,0           |
| <b>06 07</b>    | <b>სოციალური მომსახურების ცენტრის ხელშეწყობა</b>   | <b>1 657,4</b>  | <b>1 656,7</b>  | <b>100,0</b>   |
| <b>06 08</b>    | <b>ფოთის სატრანსპორტო კომპანიის სუბსიდირება</b>  | <b>1 748,0</b>  | <b>1 748,0</b>  | <b>100,0</b>   |

|                      |       |                                      |                        |
|----------------------|-------|--------------------------------------|------------------------|
| პროგრამის დასახელება | კოდი  | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება | დაფინანსება ათას ლარში |
|                      | 06 01 |                                      | 270,3                  |



|  |   |
|--|---|
| <p>პროგრამის განმახორციელებელი სამსახური</p> | <p>ა(ა)იპ "თვითმმართველი ქალაქ ფოთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი".</p>  |
| <p>პროგრამის აღწერა</p>                      | <p>თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში არის:</p> <p>ა) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასწრაფო შეტყობინებას დაქვემდებარებული გადამდები დაავადებების პირველადი ეპიდკვლევა;</p> <p>ბ) პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსამშრომებისას;</p> <p>გ) „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით მათთვის განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელება;</p> <p>დ) საგანმანათლებლო, საადმზრდელო და საგანმანათლებლო-საადმზრდელო დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა და პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა;</p> <p>ე) პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის;</p> <p>ვ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა. მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების განმახორციელებელ დაწესებულებებში ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარიული ნორმების დაცვის კონტროლი.</p> <p>პროგრამა შედგება შემდეგი ქვეპროგრამებისაგან:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. ეპიდზედამხედველობა (მათ შორის ტუბერკულოზის კონტროლის პროგრამა) (მაღარიისა და პარაზიტოლოგიურ დაავადებათა კონტროლი), სისხლის გზით გადამდები დაავადებების პრევენციის ზედამხედველობა.</li> <li>2. იმუნიზაცია.</li> <li>3. ცხოვრების ჯანსაღი წესის განვითარების ხელშეწყობა.</li> <li>4. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარული ნორმების დაცვის ზედამხედველობა.</li> </ol> <p>2024 წელს, ა(ა)იპ "თვითმმართველი ქალაქ ფოთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი" დაფინანსდა 270,3 ათ. ლარით და აღნიშნული თანხით განახორციელა შემდეგი ღონისძიებები:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ მაღარიის სადეზინფექციო ღონისძიებები - 1 760 000 მ<sup>2</sup>;</li> <li>➤ იმუნიზაციის ღონისძიებები (ბავშვთა გეგმიური აცრები) - 3 668 ერთეული;</li> <li>➤ იმუნიზაციის ღონისძიებები (გრძობის ვაქცინები) - 1 183 ერთეული;</li> <li>➤ იმუნიზაციის ღონისძიებები (ანტირაბიული) - 3 966 ერთეული;</li> <li>➤ ცხოვრების ჯანსაღი წესის და უნარ-ჩვევების დამკვიდრება (ლექცია-საუბარი) - 130 ერთეული;</li> <li>➤ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ობიექტებში სანიტარული ნორმების ზედამხედველობა - 80 ერთეული.</li> </ul> |
| <p>მიღწეული შედეგი</p>                       | <p>მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და საგანგებო სიტუაციების ლოკალიზება.</p>  |

|                             |              |                                  |                               |
|-----------------------------|--------------|----------------------------------|-------------------------------|
| <p>პროგრამის დასახელება</p> | <p>კოდი</p>  | <p>ჯანდაცვის სხვა პროგრამები</p> | <p>დაფინანსება ათას ლარში</p> |
|                             | <p>06 02</p> |                                  | <p>1 049,1</p>                |

|                                       |  |
|---------------------------------------|--|
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური;<br>შპს „ლაბორატორიული კვლევის ცენტრი“;<br>ა(ა)იპ „საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება“.   |
| პროგრამის აღწერა                      | აღნიშნული პროგრამით დაფინანსდა ჯანდაცვის შემდეგი პროგრამები:<br><ul style="list-style-type: none"> <li>➤ სამედიცინო მომსახურების დაფინანსების პროგრამა;</li> <li>➤ მოსახლეობის მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა;</li> <li>➤ სასმელი, სარეკრიაციო და ჩამდინარე წყლების სანიტარულ-ბაქტერიოლოგიური და სანიტარულ-ქიმიური გამოკვლევის პროგრამა;</li> <li>➤ შშმ ბავშვთა აბილიტაცია-რეაბილიტაციის დაფინანსების პროგრამა;</li> <li>➤ ფენილკეტონურიით და ცელიაკით დაავადებულ პირთა კვებითი დანამატებით უზრუნველყოფის პროგრამა;</li> <li>➤ კოხლერული იმპლანტით მოსარგებლე ბენეფიციართა დახმარების პროგრამა;</li> <li>➤ საქმიანობათა ცენტრი ფოთში უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისათვის;</li> <li>➤ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქვეწარმავლების წინააღმდეგ ბრძოლის პროგრამა.</li> </ul> |
| მიღწეული შედეგი                       | ჯანდაცვის სერვისებზე და სამკურნალო საშუალებებზე ხელმისაწვდომობა, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება, სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდა.   |

| ქვეპროგრამის დასახელება                  | კოდი   | სამედიცინო მომსახურების დაფინანსების პროგრამა | დაფინანსება ათას ლარში |
|--|--|---|------------------------|
|  | 06 02 01   |   | 464,7                  |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.  |   |                        |
| ქვეპროგრამის აღწერა                      | <p>ქვეპროგრამა ითვალისწინებდა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების, რომელთა შემოსავალი საანგარიშო წლის განმავლობაში არ აღემატებოდა 18 000 ლარს, 0-18 წლამდე ასაკის პირების, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 120 001-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარების, მკვეთრად გამოხატული შშმ პირების, ონკოლოგიური დაავადებების (ავთვისებიანი სიმსივნე, ლეიკემია) მქონე მოქალაქეების, ჯანმრთელობის დაცვის სერვისების ხელმისაწვდომობას, სხვადასხვა დაავადების მკურნალობის ხარჯების, ძვირადღირებული ოპერაციების და ძვირადღირებული გამოკვლევების იმ კომპონენტის თანადაფინანსებას, რომელიც არ იყო გათვალისწინებული საყოველთაო ან კერძო დაზღვევით.</p> <p>აღნიშნული ქვეპროგრამით გათვალისწინებულ მოქალაქეებს, მკურნალობის ღირებულება დაუფინანსდათ გასაწევი სამედიცინო მომსახურების ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაციით (წინასწარი კალკულაცია) წარმოდგენილი თანხის 70%-მდე, არაუმეტეს 1 000 ლარისა, ხოლო მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და/ან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 70 001-მდე სარეიტინგო ქულის მქონე მოქალაქეებს 100%-მდე არაუმეტეს 1 000 ლარისა.</p> <p>თუ გასაწევი სამედიცინო მომსახურების ხარჯი არ აღემატებოდა 300 ლარს, დაფინანსება განხორციელდა 100%-მდე.</p> <p>აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში, მოქალაქეებს დახმარება გაეწიათ ერთხელ, ხოლო ონკოლოგიური დაავადებების (ავთვისებიანი სიმსივნე, ლეიკემია) მქონე მოქალაქეებს, მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და/ან სოციალურად დაუცველი ოჯახების</p> |   |                        |

|                 |  |
|-----------------|--|
|                 | <p>მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 70 001-მდე სარეიტინგო ქულის მქონე მოქალაქეებს - ორჯერ.</p> <p>მოსახლეობის სტაციონარული მკურნალობის პროგრამით 2024 წელს ისარგებლა 988 ბენეფიციარმა.</p> |
| მიღწეული შედეგი | ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობა, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება.  |

| ქვეპროგრამის დასახელება                  | კოდი  | მოსახლეობის მედიკამენტებით უზრუნველყოფა | დაფინანსება ათას ლარში |
|--|---|---|------------------------|
|  | 06 02 02  |   | 55,9                   |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.   |   |                        |
| ქვეპროგრამის აღწერა                      | <p>სამკურნალო საშუალებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, „ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის“ ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამასთან ერთად, აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია მატერიალურ დახმარებას უწევს სხვადასხვა მწვავე თუ ქრონიკული დაავადებების მქონე ადგილობრივ მოსახლეობას, იმ სახის მედიკამენტების შესაძენად, რომელიც არ არის გათვალისწინებული ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამით.</p> <p>ქვეპროგრამა ითვალისწინებდა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი პენსიონრების და 0-18 წლამდე ბავშვების (სარეიტინგო ქულა არაუმეტეს 120 000), მარტოხელა პენსიონრების, მკვეთრად გამოხატული შშმ პირების და შშმ ბავშვების, ავთვისებიანი სიმსივნითა და ლეიკემიით დაავადებული პირების, ეპილეფსიით დაავადებული პირების, კორონა ვირუსით (COVID-19) დაინფიცირებული პირების მედიკამენტებით უზრუნველყოფას.</p> <p>ბენეფიციარებს, მედიკამენტის სახით, დახმარება გაეწიათ:</p> <p>ა) სოციალურად დაუცველ პენსიონრებს და 0-18 წლამდე ბავშვებს (სარეიტინგო ქულა არაუმეტეს 120 000), მარტოხელა პენსიონრებს, მკვეთრად გამოხატულ შშმ პირებს, შშმ ბავშვებს, 100 ლარამდე, წელიწადში ერთხელ;</p> <p>ბ) ავთვისებიანი სიმსივნითა და ლეიკემიით დაავადებულ პირებს 1 000 ლარამდე წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, წელიწადში ორჯერ;</p> <p>გ) ეპილეფსიით დაავადებულ პირებს 150 ლარამდე წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, წელიწადში ერთხელ;</p> <p>დ) კორონა ვირუსით (COVID-19) დაინფიცირებულ პირებს, სტაციონარული მკურნალობის დასრულებიდან 2 თვის განმავლობაში წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე 100 ლარამდე წელიწადში ერთხელ.</p> <p>აღნიშნული ქვეპროგრამით 2024 წელს ისარგებლა 323 მოქალაქემ.</p> |   |                        |
| მიღწეული შედეგი                          | ბენეფიციართვის გაწეული დახმარებები, მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა.   |   |                        |

| ქვეპროგრამის დასახელება                  | კოდი  | სასმელი, სარეკრიაციო და ჩამდინარე წყლების სანიტარულ-ბაქტერიოლოგიური და სანიტარულ-ქიმიური გამოკვლევა | დაფინანსება ათას ლარში |
|--|---|---|------------------------|
|  | 06 02 04  |   | 40,0                   |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური;   |   |                        |
| ქვეპროგრამის აღწერა                      | შპს „ლაბორატორიული კვლევის ცენტრი“.   |   |                        |
|  | მოსახლეობის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნის უზრუნველყოფისათვის, ინფექციური დაავადებებისა და ეპიდემიოლოგიის თავიდან აცილების მიზნით, ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა |   |                        |

|                 |  |
|-----------------|--|
|                 | სასმელი, სარეკრიაციო და ზღვის წყლის ხარისხის სისტემატიური ლაბორატორიული კვლევა. დაფინანსდა 384 ლაბორატორიული კვლევა. |
| მიღწეული შედეგი | ინფექციური დაავადებების და ეპიდაფეთქებების პრევენცია.  |

|  |   |  |                        |
|--|---|--|------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება                  | კოდი  | შშმ ბავშვთა აბილიტაცია-რეაბილიტაციის დაფინანსება | დაფინანსება ათას ლარში |
|  | 06 02 05  |  | 441,0                  |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.   |  |                        |
| ქვეპროგრამის აღწერა                      | <p>აღნიშნული ქვეპროგრამა ითვალისწინებდა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული, 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე, მათ შორის აუტიზმის, გონებრივი და/ან მეტყველების განვითარების შეფერხების ან დაყოვნების მქონე პირთა ფსიქოსომატური რეაბილიტაციის დაფინანსებას.</p> <p>აღნიშნული ქვეპროგრამით დაფინანსდნენ:</p> <p>ა) აუტიზმის მქონე ბავშვები (ICD-10 განსაზღვრული კლასიფიკატორები F84.0, F84.1, F84.5, F84.9) წელიწადში ერთხელ - არაუმეტეს 3 600 ლარით.</p> <p>ბ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, მათ შორის გონებრივი განვითარების შეფერხების ან დაყოვნების მქონე ბავშვები წელიწადში ერთხელ, არაუმეტეს 700 ლარით, ხოლო დაუნის სინდრომის (ICD-10 განსაზღვრული კლასიფიკატორი: Q 90) მქონეებს 1500 ლარით წელიწადში ერთხელ.</p> <p>აღნიშნული ქვეპროგრამით ისარგებლა 222 ბენეფიციარმა.</p> |  |                        |
| მიღწეული შედეგი                          | შშმ ბავშვთა ინტეგრაცია საზოგადოებაში.   |  |                        |

|  |  |   |                        |
|--|--|---|------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება                  | კოდი   | ფენილკეტონურიით და ცელიაკით დაავადებულ პირთა კვებითი დანამატებით უზრუნველყოფა | დაფინანსება ათას ლარში |
|  | 06 02 06   |   | 10,5                   |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.  |   |                        |
| ქვეპროგრამის აღწერა                      | <p>ქვეპროგრამა ითვალისწინებდა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ფენილკეტონურიით და/ან ცელიაკით დაავადებულ პირთა დაფინანსებას კვებითი დანამატების შესაძენად.</p> <p>ბენეფიციარებს დახმარება გაეწიათ ერთჯერადად 1 500 ლარის ოდენობით.</p> <p>აღნიშნული ქვეპროგრამით ისარგებლა 7 ბენეფიციარმა.</p> |   |                        |
| მიღწეული შედეგი                          | ფენილკეტონურიით და ცელიაკით დაავადებულ პირთა გაუმჯობესებული ჯანმრთელობის მდგომარეობა, მათი ოჯახების მატერიალური და მორალური თანადგომა.   |   |                        |

|  |  |  |                        |
|--|--|--|------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება                  | კოდი   | კოხლეარული იმპლანტით მოსარგებლე ბენეფიციართა დახმარება | დაფინანსება ათას ლარში |
|  | 06 02 07   |  | 1,4                    |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.  |  |                        |
| ქვეპროგრამის აღწერა                      | ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა ითვალისწინებს მვირადღირებული კოხლეარული იმპლანტაციის დაფინანსებას სმენაჩლუნგობის (სმენის დაქვეითების მძიმე ფორმა) დაძლევის მიზნით. |  |                        |

|                 |   |
|-----------------|---|
|                 | <p>თუმცა, იმპლანტი მუდმივად საჭიროებს ნორმალური ფუნქციონირების შენარჩუნებას, რაც დაკავშირებულია მატერიალურ ხარჯებთან და მძიმე ეკონომიურ ტვირთს წარმოადგენს ოჯახებისთვის.</p> <p>აღნიშნულიდან გამომდინარე, ქვეპროგრამა ითვალისწინებდა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული, კოხლვარული იმპლანტით მოსარგებლე პირთა დახმარებას, აპარატის შეუფერხებელი ფუნქციონირების მიზნით. კერძოდ:</p> <p>ა) კვების წყაროსთვის საჭირო ელემენტის შეძენას;</p> <p>ბ) პროცესორის და მიკროფონის შემაერთებელი სადენის შეძენას.</p> <p>კვების წყაროსთვის საჭირო ელემენტის შესაძენი თანხის წლიური ლიმიტი განსაზღვრული იყო 700 ლარით;</p> <p>პროცესორის და მიკროფონის შემაერთებელი სადენის შესაძენი თანხის წლიური ლიმიტი განსაზღვრული იყო 300 ლარით.</p> <p>აღნიშნული ქვეპროგრამით ისარგებლა 2 ბენეფიციარმა.</p> |
| მიღწეული შედეგი | სმენადაქვეითებულ ბავშვთა საზოგადოებაში ინტეგრირება სხვების თანასწორად; ოჯახების მატერიალური და მორალური თანადგომა.  |

**განმარტება:** ქვეპროგრამის „კოხლვარული იმპლანტით მოსარგებლე ბენეფიციართა დახმარება“ (პროგრამული კოდი 06 02 07) გეგმის შეუსრულებლობა (65.0%) გამოწვეული იყო შემცირებული მომართვიანობით.

|  |   |   |                        |
|--|---|---|------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება                  | კოდი  | საქმიანობათა ცენტრი ფოთში უსაფრთხო გარემოში და სიცოცხლის ხელშეწყობისათვის | დაფინანსება ათას ლარში |
|  | 06 02 10  |   | 30,0                   |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ა(ა)იპ „საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება“.  |   |                        |
| ქვეპროგრამის აღწერა                      | <p>ქვეპროგრამის მიზანი იყო ზრუნვა მოსახლეობის დაუცველი ფენის ჯანმრთელობაზე და სოციალურ კეთილდღეობაზე, ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა; კატასტროფებისა და საგანგებო სიტუაციებისათვის მზადყოფნისა და რეაგირების ეფექტური მეთოდების შემუშავება.</p> <p>პროგრამის პრიორიტეტს წარმოადგენდა:</p> <p>კატასტროფის მართვა (რისკის შემცირება, მზადება, რეაგირება), ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, სოციალური მხარდაჭერა, ახალგაზრდული და მოხალისეობრივი მოძრაობის განვითარება.</p> <p>ძირითად (პირდაპირ) სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენდნენ:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. ახალგაზრდები, სასკოლო და სკოლამდელი ასაკის მქონე პირები;</li> <li>2. 60-65 წელს ზემოთ, ოჯახურ მხარდაჭერას მოკლებული ხანდაზმულები, რომლებიც იღებენ სახელმწიფო პენსიასა და შემწეობას;</li> <li>3. განსაკუთრებული საჭიროების მქონე ჯგუფები;</li> <li>4. შერჩეული თემის ლიდერები და წევრები.</li> </ol> <p>ქვეპროგრამაში ჩართული იყო 550 ბენეფიციარი.</p> |   |                        |
| მიღწეული შედეგი                          | უსაფრთხო თემების ჩამოყალიბება/განვითარება კატასტროფებისათვის მზადებით, ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და სოციალური მხარდაჭერა, ახალგაზრდული და მოხალისეობრივი მოძრაობის განვითარება.  |   |                        |

|  |   |  |                        |
|--|---|--|------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება                  | კოდი  | ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქვეწარმავლების წინააღმდეგ ბრძოლის პროგრამა | დაფინანსება ათას ლარში |
|  | 06 02 11  |  | 5,6                    |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური; |  |                        |
|  | შპს „ლაბორატორიული კვლევის ცენტრი“.   |  |                        |

|                     |   |
|---------------------|---|
| ქვეპროგრამის აღწერა | ქვეპროგრამის მიზანია მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ქვეწარმავლების წინააღმდეგ ბრძოლა, ადგილობრივი მოსახლეობის ქვეწარმავლების დაკბენისგან მაქსიმალური დაცვა, საცხოვრებელ და სარეკრიაციო ზონებში მოსახლეობის ცხოვრებისა და დასვენებისათვის კომფორტული და უსაფრთხო პირობების შექმნა. ზემოხსენებული ქვეპროგრამა განხორციელდა მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ შპს „ლაბორატორიულ კვლევის ცენტრთან“ დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. |
| მიღწეული შედეგი     | მოსახლეობის უსაფრთხოება და ჯანმრთელობის დაცვა.  |

| პროგრამის დასახელება                  | კოდი   | ჯანდაცვის ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია | დაფინანსება ათას ლარში |
|---------------------------------------|--|---|------------------------|
|                                       | 06 03  |   | 147,8                  |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახური.                                  |   |                        |
| პროგრამის აღწერა                      | აღნიშნული თანხით დაფინანსდა 112-ის ოფისისა და მიმდებარე ტერიტორიის სარეაბილიტაციო სამუშაოები.  |   |                        |
| მიღწეული შედეგი                       | მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება. მოწესრიგებული და გამართული ინფრასტრუქტურა. |   |                        |

| პროგრამის დასახელება                  | კოდი  | სოციალური დაცვა | დაფინანსება ათას ლარში |
|---------------------------------------|---|-----------------|------------------------|
|                                       | 06 04   |                 | 1 928,6                |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური;<br>ა(ა)იპ "თვითმმართველი ქალაქის -ფოთის ბავშვთა ცენტრი";<br>ა(ა)იპ „ფოთი ყრუ და სმენადაქვეითებულთა განვითარების ფონდი“.<br>ა(ა)იპ „კოალიცია სოციალური რეფორმებისათვის“.   |                 |                        |
| პროგრამის აღწერა                      | პროგრამა ითვალისწინებდა ქალაქ ფოთის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შედეგებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, დიალიზზე მყოფი პირების (პაციენტების) სასიცოცხლოდ აუცილებელი საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით ფინანსური დახმარების გაწევას, საგანგებო სიტუაციების კორდინაციისა და გადაუდებელი ცენტრის სასწრაფო და რეფერალური ბრიგადების მიერ განსაკუთრებული საჭიროების მქონე ავადმყოფთა ქალაქგარეთ ტრანსპორტირებას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ახალშობილთა და მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის ერთჯერად დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ ქალაქის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. |                 |                        |
| მიღწეული შედეგი                       | მუნიციპალურ და კომუნალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობა და საზოგადოების ცალკეული კატეგორიებისათვის სოციალური პირობების გაუმჯობესება.  |                 |                        |

| ქვეპროგრამის დასახელება                  | კოდი   | სარიტუალო მომსახურება | დაფინანსება ათას ლარში |
|--|--|-----------------------|------------------------|
|  | 06 04 01   |                       | 12,0                   |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.  |                       |                        |
| ქვეპროგრამის აღწერა                      | აღნიშნული ქვეპროგრამით განხორციელდა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი (100 000-მდე ქულის მქონე) გარდაცვლილი მოქალაქის ოჯახების, მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების დაფინანსება 300 ლარით. ასევე, მიზნობრივი ტრანსფერიდან, 300 ლარით დაფინანსდნენ დიდი სამამულო ომისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში მონაწილეთა გარდაცვლილთა ოჯახები.<br>აღნიშნული ქვეპროგრამით მატერიალური დახმარება გაეწია 36 ოჯახს. |                       |                        |
| მიღწეული შედეგი                          | სოციალურად დაუცველი მოქალაქეების, დიდი სამამულო ომის მონაწილეებისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში მონაწილეთა გარდაცვლილთა ოჯახებისათვის ფინანსური მხარდაჭერის გაწევა.   |                       |                        |

**განმარტება:** ქვეპროგრამის „სარიტუალო მომსახურება“ (პროგრამული კოდი 06 04 01) გეგმის შეუსრულებლობა (52,0%) გამოწვეული იყო შემცირებული მომართვიანობით.

| ქვეპროგრამის დასახელება                  | კოდი  | მარტოხელა მშობელთა დახმარება | დაფინანსება ათას ლარში |
|--|---|------------------------------|------------------------|
|  | 06 04 02  |                              | 80,5                   |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.   |                              |                        |
| ქვეპროგრამის აღწერა                      | სამუშაო ადგილების დეფიციტის გამო, მარტოხელა მშობელთა უმრავლესობა უმუშევარია. მათ მძიმე ტვირთად აწევთ მცირეწლოვანი შვილების მოვლა-პატრონობა. ამიტომ, ყოველთვიური მატერიალური დახმარება გაეწიათ მარტოხელა მშობლებს (მოზარდის 18 წლის ასაკის შესრულებამდე) 50 ლარის ოდენობით.<br>აღნიშნული ქვეპროგრამით ისარგებლა 144 მარტოხელა დედამ. |                              |                        |
| მიღწეული შედეგი                          | მარტოხელა მშობელთა ცხოვრების დონის გაუმჯობესება და მათი საზოგადოებაში ინტეგრაციის უნარის გაძლიერება.  |                              |                        |

| ქვეპროგრამის დასახელება                  | კოდი  | ბავშვთა ცენტრის ხელშეწყობა | დაფინანსება ათას ლარში |
|--|---|----------------------------|------------------------|
|  | 06 04 03  |                            | 192,2                  |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ა(ა)იპ "თვითმმართველი ქალაქის - ფოთის ბავშვთა ცენტრი".  |                            |                        |
| ქვეპროგრამის აღწერა                      | ქვეპროგრამა მოიცავდა ეკონომიურად უკიდურესად შეჭირვებულ, უმეტესაღყურეოდ დარჩენილ ბავშვთა 24 საათიან მზრუნველობას, ბავშვზე ზრუნვის სტანდარტებისა და სალიცენზიო პირობების შესაბამისად.<br>ქვეპროგრამით დაფინანსდა თანამშრომელთა ხელფასები, ბავშვთა ოთხჯერადი კვების ხარჯები, კომუნალური ხარჯები, ბავშვებისთვის საჭირო ტანსაცმელი, პირადი ჰიგიენისა და სასკოლო ნივთების შეძენის ხარჯები, საჭირო მედიკამენტების ხარჯები და სხვა.<br>ქვეპროგრამა, სალიცენზიო პირობების შესაბამისად, გათვლილი იყო 10 ბავშვზე, თუმცა, აღნიშნული მომსახურებით, მომართვიანობის სიმცირის გამო, ისარგებლა 8 ბენეფიციარმა. |                            |                        |

|                 |   |
|-----------------|---|
| მიღწეული შედეგი | მზრუნველობამოკლებული, უმეტესადაც დარჩენილი ბავშვების ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია, მათი გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობების განვითარება, ბავშვებისათვის ოჯახური გარემოს შექმნა, მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. |
|-----------------|---|

|  |   |  |                        |
|--|---|--|------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება                  | კოდი  | განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა მხარდაჭერის პროგრამა | დაფინანსება ათას ლარში |
|  | 06 04 04  |  | 46,1                   |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.   |  |                        |
| ქვეპროგრამის აღწერა                      | <p>ქვეპროგრამა ითვალისწინებდა:</p> <p>ა) დიალიზზე მყოფი პირების (პაციენტების) სასიცოცხლოდ აუცილებელი საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით, ფინანსური დახმარების გაწევას თვეში 150 ლარის ოდენობით;</p> <p>ბ) საგანგებო სიტუაციების კორდინაციისა და გადაუდებელი ცენტრის სასწრაფო და რეფერალური ბრიგადების მიერ განსაკუთრებული საჭიროების მქონე ავადმყოფთა ქალაქგარეთ ტრანსპორტირების დაფინანსებას, წელიწადში ერთხელ. კერძოდ:</p> <p>ა) ფოთი - თბილისი ან თბილისი - ფოთი - 900 ლარით;</p> <p>ბ) ფოთი - ქუთაისი ან ქუთაისი - ფოთი - 350 ლარით;</p> <p>გ) ფოთი - ბათუმი ან ბათუმი - ფოთი - 250 ლარით;</p> <p>დ) ფოთი - ზუგდიდი ან ზუგდიდი - ფოთი - 200 ლარით.</p> <p>აღნიშნული ქვეპროგრამით ისარგებლა 26 ბენეფიციარმა.</p> |  |                        |
| მიღწეული შედეგი                          | ქვეპროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების ჯანმრთელობის გაუმჯობესება, ფინანსური მხარდაჭერა.   |  |                        |

|  |  |  |                        |
|--|--|--|------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება                  | კოდი   | 2008 წლის აგვისტოს მოვლენების დროს რუსეთის აგრესიის შედეგად დაღუპულთა ოჯახებისა და დაჭრილ მოქალაქეთა დახმარება | დაფინანსება ათას ლარში |
|  | 06 04 05   |  | 25,9                   |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.  |  |                        |
| ქვეპროგრამის აღწერა                      | <p>ქვეპროგრამა მიზნად ისახავდა 2008 წლის აგვისტოს თვეში რუსეთის მიერ განხორციელებული აგრესიის შედეგად გარდაცვლილი მოქალაქეების ოჯახებისათვის მატერიალური დახმარების გაწევას, მათი ხსოვნისადმი პატივის მიგებას, კერძოდ:</p> <p>ა) რუსეთის მიერ განხორციელებული აგრესიის შედეგად გარდაცვლილი 11 მოქალაქის ოჯახისათვის - 500 ლარის ოდენობით წელიწადში ერთხელ;</p> <p>ბ) რუსეთის მიერ განხორციელებული აგრესიის შედეგად გარდაცვლილი 4 მშვიდობიანი მოქალაქის ოჯახისთვის, რომლებიც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაიღუპნენ - 400 ლარის ოდენობით ყოველთვიურად;</p> <p>გ) რუსეთის მიერ განხორციელებული აგრესიის შედეგად დაჭრილ სამოქალაქო პირებზე - 300 ლარის ოდენობით წელიწადში ერთხელ.</p> <p>აღნიშნული ქვეპროგრამით ისარგებლა 14 ბენეფიციარმა.</p> |  |                        |
| მიღწეული შედეგი                          | ქვეპროგრამაში მონაწილე ოჯახებისათვის მატერიალური და მორალური დახმარება.  |  |                        |



|  |  |   |                        |
|--|--|---|------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება                  | კოდი   | მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთა, ამავე ომის შუამპირთა და სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილეთა დახმარება | დაფინანსება ათას ლარში |
|  | 06 04 06   |   | 5,4                    |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.  |   |                        |
| ქვეპროგრამის აღწერა                      | <p>ქვეპროგრამა მიზნად ისახავდა:</p> <p>დიდი სამამულო ომის მონაწილეებისა და ამავე ომის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში მონაწილეთა ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევას. კერძოდ:</p> <p>ა) მეორე მსოფლიო ომის მონაწილე ბენეფიციარებს, თითოეულს 400 ლარის ოდენობით;</p> <p>ბ) სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში მონაწილე ბენეფიციარებს, თითოეულს 300 ლარის ოდენობით;</p> <p>გ) მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთა გათანაბრებულ ბენეფიციარებს, თითოეულს 300 ლარის ოდენობით.</p> <p>აღნიშნული ქვეპროგრამით ისარგებლა 18 ბენეფიციარმა.</p> |   |                        |
| მიღწეული შედეგი                          | ქვეპროგრამაში მონაწილე ბენეფიციარების ფინანსური მხარდაჭერა და ღვაწლის დაფასება.  |   |                        |

|  |   |  |                        |
|--|---|--|------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება                  | კოდი  | სარეზერვო ფონდიდან შეჭირვებულ ოჯახებზე გაწეული დახმარებები | დაფინანსება ათას ლარში |
|  | 06 04 07  |  | 52,8                   |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.   |  |                        |
| ქვეპროგრამის აღწერა                      | <p>ქვეპროგრამა მიზნად ისახავდა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან სხვადასხვა სახის დახმარებების გაწევას.</p> <p>სულ სარეზერვო ფონდიდან გაწეულმა ხარჯმა შეადგინა:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ აწვანსვენებული ფოთის საპატო მოქალაქეების პატივგებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ - 1 000 ლარი;</li> <li>➤ შეჭირვებული 74 მოქალაქისათვის სხვადასხვა სახის დახმარებების გაწევის ხარჯი - 49 150 ლარი;</li> <li>➤ 2024 წლის 19-21 ოქტომბერს, სტიქიის შედეგად დაზარალებული 1 ოჯახისათვის კომპენსაციის გამოყოფის შესახებ - 2 623 ლარი;</li> <li>➤ 2024 წლის სექტემბრის თვეში ძლიერი ქარის შედეგად დაზარალებული მოქალაქეებისათვის საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილ თანხას (57 350 ლარი) და მოსახლეობისათვის რეალურად მიყენებულ ზარალს (57 368 ლარი) შორის სხვაობის გამოყოფის შესახებ - 18 ლარი.</li> </ul> |  |                        |
| მიღწეული შედეგი                          | მოქალაქეთა ფინანსური მხარდაჭერა. ჯანმრთელობის მდგომარეობისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება.   |  |                        |

|  |   |  |                        |
|--|---|--|------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება                  | კოდი  | უსინათლობისა და სმენადაქვეითებულთა დახმარების პროგრამა | დაფინანსება ათას ლარში |
|  | 06 04 08  |  | 55,9                   |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური; |  |                        |
|  | ა(ა)იპ „ფოთი ყრუ და სმენადაქვეითებულთა განვითარების ფონდი“.                     |  |                        |

|                     |   |
|---------------------|---|
| ქვეპროგრამის აღწერა | <p>ქვეპროგრამა მიზნად ისახავდა:</p> <p>1. უსინათლო და სმენადაქვეითებულ პენსიონერთათვის შეღავათიან პაკეტს, კომუნალური გადასახადების დასაფინანსებლად.</p> <p>მატერიალური დახმარება შეადგენდა:</p> <p>ა) ქვეპროგრამაში მონაწილე უსინათლო პენსიონერთათვის, კომუნალური გადასახადებზე შეღავათს 60 ლარის ოდენობით, ყოველთვიურად;</p> <p>ბ) ქვეპროგრამაში მონაწილე სმენადაქვეითებულ ბენეფიციართა მატერიალურ დახმარებას კომუნალური გადასახადების დასაფინანსებლად 35 ლარის ოდენობით, წელიწადში ოთხჯერ.</p> <p>აღნიშნული ქვეპროგრამით ისარგებლა 81 ბენეფიციარმა.</p> <p>2. ა(ა)იპ „ფოთის ყრუ და სმენადაქვეითებულთა განვითარების ფონდი“-ს დახმარებას კომუნალური გადასახადებისა და ინტერნეტით სარგებლობის ღირებულების დასაფინანსებლად წელიწადში არაუმეტეს 1 800 ლარისა. აღნიშნული მიმართულებით დაფინანსებამ 134 ლარი შეადგინა.</p> |
| მიღწეული შედეგი     | ქვეპროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების ფინანსური მხარდაჭერა კომუნალური გადასახადების და ინტერნეტით სარგებლობის ღირებულების დასაფინანსებლად.   |

|  |  |  |                        |
|--|--|--|------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება                  | კოდი   | უსინათლოებისათვის წნევის გამზომი ხმოვანი აპარატების შეძენა | დაფინანსება ათას ლარში |
|  | 06 04 09   |  | 0,0                    |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.  |  |                        |
| ქვეპროგრამის აღწერა                      | ქვეპროგრამა მიზნად ისახავდა უსინათლო პენსიონერთათვის წნევის გამზომი ხმოვანი აპარატების შეძენას. მომართვიანობის არარსებობის გამო, დაფინანსება არ განხორციელებულა. |  |                        |

|  |   |   |                        |
|--|---|---|------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება                  | კოდი  | შშმ ბავშვთა დღის ცენტრის დახმარება კომუნალური გადასახადების დასაფინანსებლად | დაფინანსება ათას ლარში |
|  | 06 04 10  |   | 7,4                    |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური;   |   |                        |
|  | ა(ა)იპ „კოალიცია სოციალური რეფორმებისათვის“.  |   |                        |
| ქვეპროგრამის აღწერა                      | ქვეპროგრამა ითვალისწინებდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა დღის ცენტრის დახმარებას კომუნალური ხარჯების დასაფინანსებლად. |   |                        |
| მიღწეული შედეგი                          | შშმ ბავშვთა დღის ცენტრის ფუნქციონირების ხელშეწყობა.   |   |                        |

**განმარტება:** ქვეპროგრამის „შშმ ბავშვთა დღის ცენტრის დახმარება კომუნალური გადასახადების დასაფინანსებლად“ (პროგრამული კოდი 06 04 10) გეგმის შეუსრულებლობა (43,1%) გამოწვეული იყო შემცირებული კომუნალური გადასახადებით.

|  |   |  |                        |
|--|---|--|------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება                  | კოდი  | სოციალურად დაუცველი სტუდენტების მხარდაჭერა | დაფინანსება ათას ლარში |
|  | 06 04 11  |  | 11,3                   |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური. |  |                        |

|                     |  |
|---------------------|--|
| ქვეპროგრამის აღწერა | ქვეპროგრამა ითვალისწინებდა ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი სტუდენტებისათვის მატერიალურ წახალისებას, სწავლის დაფინანსების მიზნით. კერძოდ, სოციალურად დაუცველი სტუდენტებისთვის, რომელთა ოჯახის სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს საბიუჯეტო წლის განმავლობაში 1 000 ლარის ოდენობით.<br>აღნიშნული ქვეპროგრამით ისარგებლა 13 ბენეფიციარმა. |
| მიღწეული შედეგი     | სტუდენტთა სოციალური პირობების გაუმჯობესება.  |

**განმარტება:** ქვეპროგრამის „სოციალურად დაუცველი სტუდენტების მხარდაჭერა“ (პროგრამული კოდი 06 04 11) გეგმის შეუსრულებლობა (43,5%) გამოწვეული იყო შემცირებული მომართვიანობით.

|  |   |  |                        |
|--|---|--|------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება                  | კოდი  | ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის ღონისძიებები | დაფინანსება ათას ლარში |
|  | 06 04 12  |  | 0,6                    |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.   |  |                        |
| ქვეპროგრამის აღწერა                      | ქვეპროგრამა ითვალისწინებდა, „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მოქალაქეზე (მსხვერპლზე), რომლის კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები დაირღვა უფლებელყოფით ან/და ფიზიკური ძალადობით, ფსიქოლოგიური ძალადობით, ეკონომიკური ძალადობით, სექსუალური ძალადობით ან იძულებით და სტატუსი განუსაზღვრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისმა სამსახურმა, ან/და სასამართლო ორგანომ, ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელმა ჯგუფმა (მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფმა) სტატუსის მინიჭების შემდგომ, დახმარების გაცემას. კერძოდ:<br>- ძალადობის მსხვერპლ პირზე დახმარების გაცემას 700 ლარის ოდენობით, წელიწადში ერთხელ.<br>- ძალადობის მსხვერპლ ბავშვიან პირზე დახმარების გაცემას 1 000 ლარის ოდენობით, წელიწადში ერთხელ.<br>აღნიშნული ქვეპროგრამით ისარგებლა 2 ბენეფიციარმა. |  |                        |
| მიღწეული შედეგი                          | ქვეპროგრამაში მონაწილე ბენეფიციარის მატერიალური და მორალური მხარდაჭერა.   |  |                        |

**განმარტება:** ქვეპროგრამის „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის ღონისძიებები“ (პროგრამული კოდი 06 04 12) გეგმის შეუსრულებლობა (71,4%) გამოწვეული იყო შემცირებული მომართვიანობით.

|  |   |                                |                        |
|--|---|--------------------------------|------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება                  | კოდი  | ახალშობილთა ოჯახების დახმარება | დაფინანსება ათას ლარში |
|  | 06 04 14  |                                | 9,3                    |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.   |                                |                        |
| ქვეპროგრამის აღწერა                      | ქვეპროგრამა ითვალისწინებდა ახალშობილთა ოჯახების (ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მკვიდრ და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახებს) წახალისებას |                                |                        |

|                 |  |
|-----------------|--|
|                 | ერთჯერადად 100 ლარის ოდენობით.<br>აღნიშნული ქვეპროგრამით ისარგებლა 93 ოჯახმა.  |
| მიღწეული შედეგი | ქვეპროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების თანადგომა და წახალისება.<br>მუნიციპალიტეტში დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება. |

| ქვეპროგრამის დასახელება                  | კოდი  | მრავალშვილიანი ოჯახების ყოველთვიური დახმარება | დაფინანსება ათას ლარში |
|--|---|---|------------------------|
|  | 06 04 16  |   | 243,3                  |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.   |   |                        |
| ქვეპროგრამის აღწერა                      | <p>ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის მკვიდრ და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახებს, იმის გათვალისწინებით, რომ მშობლები (განქორწინების შემთხვევაში მშობელი) იყვნენ რეგისტრირებულნი ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, რომლებიც ზრდიდნენ 3 და მეტ არასრულწლოვან მოზარდს (უფროსი შვილის 18 წლის ასაკის შესრულებამდე), უმცროს შვილზე დაენიშნათ ყოველთვიური მატერიალური დახმარება:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>3-შვილიან ოჯახს – 50 ლარი;</li> <li>4-შვილიან ოჯახს – 100 ლარი;</li> <li>5-შვილიან ოჯახს – 190 ლარი;</li> <li>6-შვილიან ოჯახს – 220 ლარი;</li> <li>7-შვილიან ოჯახს – 300 ლარი;</li> <li>8 და მეტ-შვილიან ოჯახს – 450 ლარი.</li> </ul> <p>აღნიშნული ქვეპროგრამით ისარგებლა 331 ოჯახმა.</p> |   |                        |
| მიღწეული შედეგი                          | ქვეპროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების თანადგომა და წახალისება.<br>მუნიციპალიტეტში დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება.  |   |                        |

| ქვეპროგრამის დასახელება                  | კოდი  | ხუთი და მეტშვილიანი ოჯახების დახმარება | დაფინანსება ათას ლარში |
|--|---|--|------------------------|
|  | 06 04 17  |  | 38,0                   |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.   |  |                        |
| ქვეპროგრამის აღწერა                      | <p>ქალაქში დემოგრაფიული სიტუაციის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მკვიდრ და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახებს, იმის გათვალისწინებით, რომ მშობლები იყვნენ რეგისტრირებულნი ქალაქ ფოთში, რომელთაც ჰყავდათ ხუთი და მეტი შვილი (უფროსი შვილის 18 წლის ასაკის შესრულებამდე), ერთჯერადად გაეწიათ მატერიალური დახმარება 2 000 ლარის ოდენობით.</p> <p>აღნიშნული ქვეპროგრამით ისარგებლა 19 ოჯახმა.</p> |  |                        |
| მიღწეული შედეგი                          | მრავალშვილიან ოჯახთა ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება, დემოგრაფიული მაჩვენებლის ზრდა.  |  |                        |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი     | სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებული დახმარებები | დაფინანსება ათას ლარში |
|-------------------------|----------|--|------------------------|
|                         | 06 04 18 |  | 100,1                  |

|  |   |
|--|---|
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.   |
